# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ოთხშაბათი, 29 იანვარი. 2020 წ. №16 (8942) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი


## ვინ გვიხსნის ასეთი „მეგობრებისგან“?!



...ვეთანხმები ჩემს კოლეგა კონგრესმენ კინზინგერს. საქართველოს კორუმპირებული მთავრობა თავს ესხმის დემოკრატიულ ფასეულობებს, იყენებს სამოქალაქო პროტესტის მონაწილეების წინააღმდეგ სასტიკ მეთოდებს და უპირისპირდება ამერიკულ ინვესტიციებს, რომლებიც ორივე ქვეყანას დაეხმარებოდა.

ქართველი ხალხი უკეთესს იმსახურებს!

პეტ ოლსონი.



საქართველოში 3 დღე გავატარე. არ ვარ დარწმუნებული, რომ ხელისუფლება სრულად აცნობიერებს რუსეთთან ღია კარის პოლიტიკის შედეგებს. ამდენი „ტურისტით“ (FSB) და ამდენი მიწით, რომელსაც რუსი ბიზნესმენები ყიდულობენ, შეიძლება, ერთ დილას გაიღვიძონ და აღმოაჩინონ, რომ არა 20%, არამედ 100%-ია ოკუპირებული...

მაიკლ კარპენტერი

## გათახსირებული ნაცების ანკესზე წამოგებული კონგრესმენები!

**ზაალ ანჯაფარიძე:** მაინც, რა სურთ ამერიკელ კონგრესმენებს საქართველოსგან?!

4

**ოთარ ხუციშვილი:** „სტრატეგიული“ მოკარნახ-მოძალადენი?!

5

ჭკუით, ქართველებო!

„ცუდას რად უნდა მტერობა“

## ქართულ ისტორიას შესეული უმოწყალო გამყალბებლები!..

3



**სალომე ზურაბიშვილი:**

## ევროსაბჭოში ოკუპაციის საკითხზე მიღებული რეზოლუციები საკმარისი არ არის!

2

**სოსო გოგაშვილი:**

2

## დადგა დუმილის დარღვევის დრო!



## სანდრო გირგვლიანის მკვლელობით დაიწყო სააკაშვილის რეჟიმის რღვევა...

11



## ენერგოკრიზისი აფხაზეთში

რუსეთი დახმარებას არ ჩქარობს

**ნათია თურნავა:** ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ჩვენი აფხაზი ძმები და დები რთულ ვითარებაში არ დავტოვოთ

7



# სალომე ზურაბიშვილი: ევროსაბჭოში ოკუპაციის საკითხზე მიღებული რეზოლუციები საკმარისი არ არის!

**ევროსაბჭოში გაწევრება იყო ევროპაში შესვლის ოცნების განხორციელება და მაშინ დაწყებული სვლა არასდროს შეცვლილა, არასდროს შენელებულა, ეტაპობრივად და თანმიმდევრულად ვაგრძელებთ გზას ევროპისკენ, ჩვენი თანამედროვე ევროპული სახელმწიფოს შენებისკენ,** — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტ ჰენდრიკ დამსისთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

**„მინდა, მოგილოცოთ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტად არჩევა და გითხრათ, რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის აქ ყოფნა და მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეობა, რადგან ეს არის ის, რაზე ვერც კი ვიოცნებებდით 21 წლის წინ, როდესაც შევუერთდით ევროსაბჭოს. ევროსაბჭოში გაწევრიანება უკვე იყო ევროპაში შესვლის ოცნების განხორციელება და მაშინ დაწყებული სვლა არასდროს შეცვლილა, არასდროს შენელებულა. ეტაპობრივად და თანმიმდევრულად ვაგრძელებთ ჩვენს გზას ევროპისკენ, ჩვენი თანამედროვე ევროპული სახელმწიფოს შენებისკენ. ბევრი აქედან არის თქვენი, ევროსაბჭოს დამსახურება, თქვენი მხარდაჭერისა და ზოგჯერ თქვენი კრიტიკის, რადგან გარკვეული კრიტიკის გარდა, არავინ მიმართავს ძალისხმევას. საქართველომ ეს ყველაფერი გააკეთა არსებული რთული სიტუაციის, კონფლიქტების, ოკუპირებული ტერიტორიების, დაძაბულობის და საფრთხეების მიუხედავად. ეს არის ის, რასაც საქართველო გადის და ამავე დროს აშენებს ინსტიტუტებს, იცავს ადამიანის უფლებებს და გარდაქმნის თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებას, რომლითაც ჩვენ ძალიან ვამაყობთ“,** — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

მისივე თქმით, საქართველოსთვის მომდევნო ეტაპია საერთაშორისო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრობა, რათა საქართველომ გამოავლინოს საკუთარი თავი, როგორც ქვეყანამ, რომელსაც საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად შეუძლია გლობალურ გამოწვევებთან გამკლავება.



# ჰენდრიკ დამსი საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრით კმაყოფილია

**ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ახალარჩეული პრეზიდენტი ჰენდრიკ დამსი საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილთან შეხვედრას საინტერესოს უწოდებს. შეხვედრის შემდეგ საუბრისას, ჰენდრიკ დამსმა ევროსაბჭოსთვის მნიშვნელოვან რამდენიმე საკითხზე გაამახვილა ყურადღება.**

ჰენდრიკ დამსის განცხადებით, მინისტრთა კომიტეტი საქართველოს თავმჯდომარეობით, ევროსაბჭოს გენერალური მდივანი, საპარლამენტო ასამბლეა ერთობლივად იმუშავებენ და ეს თანამშრომლობა მომავალში მნიშვნელოვანია. დამსის თქმით, მეორე საკითხი ეხება საქართველოს ევროპის საბჭოს თავმჯდომარეობის იმ პრიორიტეტს, რომელსაც „ადამიანის უფლებები და გარემოს დაცვა“ წარმოადგენს.

# მუნიციპალური განვითარების ფონდმა 2019 წლის ანგარიში წარადგინა

**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა გუშინ 2019 წლის ანგარიში წარადგინა. ღონისძიება საქართველოს პირველმა ვიცე-პრემიერმა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა მაია ცქიტიშვილმა გახსნა.**

ანგარიშის თანახმად, მუნიციპალური განვითარების ფონდი 2019 წელს ორ ახალ პროგრამაში ჩაერთო. აღნიშნული პროგრამებია საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სახლების მშენებლობა.

უწყების ინფორმაციით, ფონდმა გასულ წელს დაიწყო 250 და დაასრულა 70 პროექტი, რომელთა საერთო ბიუჯეტმა 366 მილიონი ლარი შეადგინა. დასრულდა ისეთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები, როგორებიცაა, ვანის მუზეუმის მშენებლობა, ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაცია, ბათუმისა და ქობულეთის ნაპირდაცვის სამუშაოები, ასურეთის შვაბების ქუჩის რეაბილიტაცია და სხვა. საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის პროგრამის ფარგლებში კი, ფონდმა ქვეყნის მასშტაბით 161 სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაცია დაიწყო, რომლის ჯამური ღირებულება 220 მილიონ ლარზე მეტია. რაც შეეხება სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობას, ფონდმა 76 ბაღის პროექტირებასა და მშენებლობის სამუშაოებიც დაიწყო, რომლის ჯამური ინვესტიცია 50 მილიონ ლარს აჭარბებს.

**„ფონდმა გასულ წელს დაიწყო წყალტუბოში, ზუგდიდსა და ქუთაისში დევნილთა სახლების მშენებლობა. ჯამში 2019-2021 წელს 2440 ოჯახი მიიღებს საცხოვრებელ ბინას. პროგრამის ჯამური ღირებულება კი, 152.3 მილიონი ლარია. ფონდმა 2019 წელს უკვე დაასრულა მცხეთაში ორი კორპუსის მშენებლობა და 120 დევნილ ოჯახს გადაეცა ბინა.**

**ფონდის მიერ განხორციელებულმა პროექტებმა ქვეყნის რეგიონებში უნდა გააჩინონ ახალი შესაძლებლობები, მოიზიდონ მეტი შიდა და საერთაშორისო ტურისტი, გააუმჯობესონ ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა“,** — აღნიშნულია მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ოპოზიციური პარტიები აქციების განახლებას 4 თებერვლიდან გეგმავენ

**„ევროპულმა საქართველომ“ აქციების გამართვის ნებართვაზე თბილისის მერიას განცხადებით მიმართა.**

„ევროპული საქართველოს“ წევრის ირაკლი კიკნაველიძის განცხადებით, პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე აქციები 4 თებერვლიდან განახლდება. მისივე ინფორმაციით, პროტესტს უერთდება ყველა ოპოზიციური პარტია.

**„4 თებერვალს ყველა ის ოპოზიციური პარტია, სამოქალაქო ჯგუფი, რომელიც აქტიურად იყო ჩართული აქციებში, ხელახლა დავუბრუნდებით პროცესს. ახალ ეტაპზე გადავა ეს პროცესი და კვლავ სირცხვილის კორიდორების, პიკეტირების გზით ჩვენ ვაპირებთ, დისკომფორტი შევუქმნათ ხელისუფლების იმ სამარცხვინო წარმომადგენლებს, რომელთაც ჰგონიათ, რომ ჩვეულებრივ გააგრძელებენ ხელისუფლებაში ყოფნას, როგორც აქამდე იყო. ეს ასე არ იქნება. მათ მოუწევთ ამ დისკომფორტის გავლა. ივანიშვილის მოუწევს უკან დახევა და საკუთარი დანაპირების შესრულება“,** — განაცხადა ირაკლი კიკნაველიძემ.



# სოსო გოგაშვილი: დადგა დუმილის დარღვევის დრო!

**თემირლან მაჩალიკაშვილის მიმართ ძალადობით სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე გამოძიება შეწყდა.**

**დადასტურდა, რომ სპეციალური დანიშნულების რაზმის არც ერთ წევრს და არც რომელიმე მაღალი თანამდებობის პირს კანონსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება არ ჩაუდენია, — ამის შესახებ პროკურატურაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადეს.**

**პროკურატურის ინფორმაციით, თემირლან მაჩალიკაშვილის მიმართ ძალადობით სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე გამოძიება შეწყდა, რადგან გამოძიების შედეგად დადასტურდა, რომ სპეციალური ოპერაციების სამმართველოს თანამშრომელი იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში.**

**ბრიფინგიდან რამდენიმე წუთში განცხადება გააკეთა სახელმწიფო უსაფრთხოების ყოფილმა მაღალჩინოსანმა სოსო გოგაშვილმა.**

* * *

„ვანო, გილოცავ!!! იცოდე,შენ მიერ დაღვრილი სისხლი, რომელიც შენი ქვეყნის და შენი ოჯახის გადასარჩენად დაღვარე, არ ყოფილა ტყუილად დაღვრილი, სასუფეველი დაგიმკვიდროს უფალმა, შეხვედრამდე, ძმობილო!

სისხლის სამართლის საქმეები შეწყდა სუსის თანამშრომლების მხრიდან დანაშაულის არარსებობის გამო და ასევე ტერორიზმში ეჭვმიტანილის გარდაცვალების გამო. ასევე გრძელდება სისხლის სამართლის საქმე სხვა პირების შესაძლო მონაწილეობაში ტერორისტულ აქტებსა თუ ტერორისტულ დანაშაულში.

ქვეყანას ავარიდეთ საშინელი სისხლიანი ტერორისტული აქტების სერია, განადგურდა მსოფლიოში საშიში ტერორისტები და ვინც გადაურჩა სიკვდილს, ისინი ვერ გადაურჩნენ მართლმსაჯულებას, ასე იმარჯვებს სიმართლე!!!

წინაა სტრასბურგი, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ იქაც იზეიმებს სიმართლე, რადგან ტერორისტი მსოფლიოს პრობლემაა და არა მარტო საქართველოსი. სიმართლე კი ერთია!

ახლა კი დადგა დუმილის დარღვევის დროც, მე ვიწყებ ამ საქმის შესახებ ყველა არსებული მტკიცებულების და ფაქტების, რომელიც გამაჩნია, რომელიც არსებობს, თარგმნას და მომზადებას ჩვენს უცხოელ სტრატეგიულ პარტნიორებთან გასაგზავნად და პირადად გადასაცემად, ვაშინგტონიდან დაწყებული ბრიუსელით, სტრასბურგით დამთავრებული. რადგან ყველამ გაიგოს როგორც საზღვარგარეთ, ასევე საქართველოში, რომ ამ ISIS-ის ტერორისტების უკან იდგნენ და დგანან საქართველოს „მთავარი“ ოპოზიციური პარტია **ნაციონალური მოძრაობა**. ეს არის ჩემი ახლანდელი მთავარი მიზანი, რომ ყველას დავანახო, რა დგას სინამდვილეში ამ პოლიტიკური პარტიის პოლიტმიზნების მიღწევის უკან და რა მეთოდებით ცდილობენ ისინი ხელისუფლებაში დაბრუნებას. ამას მე ყველას დავუგზავნი და გავაგებინებ. ასევე იგეგმება საერთაშორისო უსაფრთხოების, ანტიტერორისტული კონფერენციების მოწყობა, უცხოელ ანალიტიკოსებთან ერთად, როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ასევე ევროპასა და ამერიკაში, სადაც გავაკეთებ პრეზენტაციებს და დავდებ ფაქტებს ნაცმოძრაობის და ISIS-ის წევრი ტერორისტების ალიანსზე.

თქვენ აგზავნით ცრუ რეპორტებს და მაგრები გგონიათ თავი, ახლა ნახავთ გოგაშვილს რა შეუძლია და რეპორტები როგორი უნდა იყოს ქვეყნის უსაფრთხოების დასაცავად და არა დასაღუპად...

ამას მალე გაგრძნობინებთ, თქვე წურბელებო.

**P. S. ასევე მივმართავ იმ რეპორტიორებს და ჟურნალისტებს, ვისაც პრეტენზია გაქვთ, რომ ხართ პროფესიონალები და გაქვთ გამოცდილება ჟურნალისტური გამოძიების წარმართვაში, ასევე ხართ პატრიოტები. გთავაზობთ, ჟურნალისტურ გამოძიებას ამ საქმის შესახებ, სადაც საქართველოს მოსახლეობას და ასევე ჩვენს უცხოელ მეგობრებს, ნათლად ვაჩვენებთ, რა მოხდა, როგორ მოხდა და ვინ დგას ამის უკან, ვიცი, თემა რთულია, სარისკოა, მაგრამ საინტერესოცაა, დამერწმუნეთ.**

**მასალები და პროდიუსინგი ჩემზე იყოს.**

პასუხი ყველა კითხვაზე იქნება!“

MARSHALPRESS.GE

— მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში —

# ქართულ ისტორიას შესეული უმოწყალო გამყალბებლები!..



**მეცნიერული არაკეთილსინდისიერების, ისტორიული სინამდვილის გარკვეული ქვენა მოსაზრებების, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული ტერიტორიული თუ სხვა სახის პრეტენზიების მხილებას დაეთმო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ამ დღეებში გამართული საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტის და ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების ერთობლივი სამეცნიერო საბჭოს სხდომა.**

„რამდენიმე სიტყვა საქართველოს ისტორიის საკვანძო საკითხების დამახინჯების გამო“ — ასეა დასათაურებული საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარის, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიკოს **რიოინ მეტრეველის** მოხსენება, რომლის არსი დასათაურებაშივეა გადმოცემული.

თავდაპირველად მომხსენებელმა სავსებით სამართლიანად აღიშნა, რომ მიუხედავად ზოგადად საქართველოს სამეცნიერო სფეროში არსებული სირთულეებისა, ის მთლიანად მაინც სიცოცხლისუნარიანობას ინარჩუნებს და მნიშვნელოვან წარმატებებსაც აღწევს. ეს სრულად საისტორიო მეცნიერებასაც ეხება, რომლის ცალკეული მიმართულებები მეტად საგულისხმო შედეგებს აღწევენ. გარკვეული ფინანსური სიდუხჭირის მიუხედავად, ბოლო დროს არაერთი მეტად მნიშვნელოვანი საისტორიო გამოცემა დაისტამბა, ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან დარგის ინსტიტუტები, მაგრამ, როგორც ჩანს, სამეცნიერო კადრების კატასტროფული შემცირება სამამულო მეცნიერებას მძიმე დაღს ასვამს: თუკი რამდენიმე ათეული წლის წინათ ქვეყანაში 50 ათასი მეცნიერი იყო, სადღეისოდ მათი რიცხოვნობა სულ 1980 კაცია(!).

ეს, როგორც ჩანს, იმის ერთ-ერთი მიზეზია, რომ უკვე საკმაო ხანია, რაც საისტორიო ჭეშმარიტების დაცვის მხრივ საქართველო ძალიან ცუდ მდგომარეობაშია ძირითადად უახლოესი სამეზობლო სახელმწიფოების ისტორიის პროფესიონალ გამყალბებელთა მეცადინეობის წყალობით, რომელთა შორის განსაკუთრებით სომეხი ვაი-მეცნიერები უკვე ტრადიციულად გამოირჩევიან. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მიწურულს მკვლევარმა ველიჩკომ გამოსცა სოლიდური ნაშრომი „Кавказ“, სადაც უაღრესად საინტერესოდაა წარმოდგენილი რეგიონის ისტორიის



მნიშვნელოვანი ასპექტები, მათ შორის აღწერილია სომეხთაგან ქართული ეკლესიების მიტაცების, საერთოდაც, მათგან წარსულის ჭეშმარიტი ამბების გაყალბების მაგალითები. ამ მხრივ ჩვენს დროში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ვინმე სურენ აივაზიანი, რომელიც იმდენად ოდიოზური პიროვნება გახლდათ, რომ თავად სომეხ ისტორიკოსთა ამქარშიც დიდად არ მოსწონდათ. ამჟამად კი მათი ფსევდოისტორიული პრეტენზიების მთავარი ობიექტი ძირძველი ქართული მხარე სამცხე-ჯავახეთია, რომელსაც თავიანთ ყაიდაზე „ჯავახკს“ ეძახიან.

ბატონმა როინ მეტრეველმა დამსწრეთ ასევე შეახსენა გასული საუკუნის 70-იან წლებში სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს მიერ(!) გამოცემული გ. ვერმიშევის რომანი „ამირსპასალარი“, სადაც საქართველოს ისტორია უმოწყალოდაა გაყალბებული.

ამავე გზას ადგანან აფხაზეთისა და ოსეთის ისტორიკოსები, რომელთა წაქეზებაში ძალიან ცუდ როლს თამაშობს რუსეთი, რომლის პოლიტიკა ჩვენს მიმართ, საერთოდაც, ცალკე საუბრის თემაა. არანაირ ჩარჩოებში არ ეტევა რაღაც მითიურ „ოსთა გენოციდზე“ ლაპარაკი. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა აფხაზეთში: რუსეთის წაქეზებით იქაურ ვაი-ისტორიკოსებს თუნდაც გასული საუკუნის ყველაზე სახელოვანი აფხაზის დიმიტრი გულიას სიტყვები „ავიწყდებათ“: „Абхазия всегда была неотъемлемой частью Грузии...“

— ქართველ ისტორიკოსთა ვალია, პირველ რიგში, საკუთარი ხალხი დავარწმუნოთ იმაში, რომ ისტორიული სამართლიანობის აღსადგენად ბრძოლა მიმდინარეობს, ამიტომაც წარსულის შესახებ ჭეშმარიტი ინფორმაცია ქვეყნის ფარგლებს გარეთაც უნდა გავიტანოთ, — თქვა ბატონმა როინ მეტრეველმა. — ქართველებმა საკუთარ თავს თავადვე უნდა ვუპატრონოთ.

მან ასევე გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ ისტორიული ჭეშმარიტების დასადგენად და მის ყველა დონეზე საზღვრებს გარეთ დაცვა და გავრცელება უპირველესი სახელმწიფოებრივი ამოცანაა, რისთვისაც აუცილებელია ერთიანი მძლავრი ქართველოლოგიური ცენტრის შექმნა.





სწავლული ისტორიკოსის ეს აზრი მოხსენების შემდგომ გამართულ კამათში მისმა უკლებლივ ყველა კოლეგამ გაიზიარა. აზრი გამოთქვეს აკადემიკოსებმა **გოჩა ჯაფარიძემ** და **რამაზ შენგელიამ**, პროფესორებმა **ანზორ თოთაძემ, მანანა გაბაშვილმა, ელდარ ნადირაძემ, გიორგი ოთხმეზურმა, ომარ გოგიაშვილმა, ჯუმბერ კოპალიანმა, დენიზა სუმბაძემ**. საქართველოში ქართველოლოგიური, მათ შორის, ისტორიული ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის დაცვის მძლავრი ცენტრის შექნას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი, თუმცა ამასთან დაკავშირებით აღინიშნა ის მეტად მნიშვნელოვანი გარემოება, რომ ეროვნული იდეოლოგიის კონცეფციისა და პატრიოტული სულისკვეთების გაძლიერების გარეშე, თავხედურად გაყალბებულ სამამულო ისტორიასთან დაკავშირებით ჩვენს სწავლულ ისტორიკოსთა მიერ გაცემული პასუხებით ბევრს ვერაფერს გავხდებით, მით უმეტეს რომ ჩვენი არაკეთილმოსურნე მეზობლები ამ უკადრის საქმეში თანდათანობით ევროპელ მეცნიერებსაც იყოლიებენ. საჭიროა, საქართველოს რეალური ისტორია ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და სხვა ენებზე თარგმანის შემწეობით ფართოდ გაჟღერდეს საერთაშორისო მასშტაბით. საგანგებო სხდომაზე უდიდესი გულისტკივილით აღინიშნა, რომ საქართველოს ისტორიის სწავლებას არ ექცევა სათანადო ყურადღება: საგანი 2019 წლიდან საშუალო სკოლების მაღალ კლასებში აღარ ისწავლება!!!

**დაბოლოს, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ამჟამად მიმდინარეობს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების რეორგანიზაცია, რის შესახებაც დაწვრილებით ინფორმაციას აუცილებლად მოგაწვდით.**

**ოთარ ტურაბელიძე**

## ფოთში, მდინარე რიონზე ახალი ხიდის მშენებლობა იწყება

**საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, ფოთში, მდინარე რიონზე გადასასვლელი საავტომობილო ხიდისა და მისასვლელი გზების მშენებლობისთვის გამოცხადებულ საერთაშორისო ტენდერში წინადადება 12-მა კომპანიამ წარადგინა. უწყების ცნობით, შემდეგ ეტაპზე წარდგენილი წინადადებების შერჩევა-შეფასება მოხდება. მდინარე რიონზე დაგეგმილი საავტომობილო ხიდისა და მისასვლელი გზების სიგრძე ჯამში ორ კილომეტრამდე იქნება. ხიდის სიგრძე კი, 432 მეტრს შეადგენს.**

ამჟამად არსებული გზა გადის ჰიდროკვანძზე, რომლის ტექნიკური პარამეტრები ვერ აკმაყოფილებს ავტოტრანსპორტის შეუფერხებელ და უსაფრთხო გადაადგილებას. ახალი ფოლად-რკინა-ბეტონის რვამილიანი ხიდის მშენებლობა მოაგვარებს არსებულ პრობლემებს და ფოთის მიმართულებით, მაღალი ინტენსივობის საერთაშორისო მნიშვნელობის გზაზე უსაფრთხო საავტომობილო მგზავრობისა და შეუფერხებელი სატრანზიტო მიმოსვლის უზრუნველყოფას შეუწყობს ხელს.

## ქუთაისში ქართულ-პოლონური მეგობრობის სკვერი გაიხსნა

**იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ, ქუთაისის მერ გიორგი ჭიღვარიასთან და პოლონეთის ოფიციალურ დელეგაციასთან ერთად, პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტის ვლადისლავ რაჩკევიჩის სახელობის ქართულ-პოლონური მეგობრობის სკვერი გახსნა. ვლადისლავ რაჩკევიჩი ქუთაისში დაიბადა და პოლონეთის პრეზიდენტი 1939-1947 წლებში იყო.**

ღონისძიებას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ხვთისიაშვილი დაესწრო. გახსნის ცერემონიაზე შესრულდა საქართველოსა და პოლონეთის სახელმწიფო ჰიმნები. სტუმრებს სიტყვით მიმართა სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ, რომელმაც პოლონურ მხარეს საქართველოს ევროატლანტიკური კურსის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. ქართულ-პოლონური მეგობრობის სკვერში კუიავსკო-პომორსკის რეგიონის მარშალის პიოტრ ცოვბესკის ინიციატივით ვლადისლავ რაჩკევიჩის ბიუსტი დაიდგმება, რომელსაც პოლონელი მოქანდაკე გააკეთებს და 2 მაისს, ქუთაისქალაქობაზე საზეიმოდ გაიხსნება.



**პატივცემულო მკითხველო, ეს კითხვა შემთხვევით არ გამჩენია. მართლაც რომ დასაფიქრებელია, ეს ჩვენი დასავლელი კეთილისმყოფელნი, ერთთავად ახალ-ახალი რჩევა-დარიგებით რომ გვალაღებ-გვახალისებენ, მართლა სტრატეგიული მეგობრები არიან თუ უფრორე სტრატეგიული მოკარნახენი? რა დასამალია, ხალხი უკვე რახანია, დაიღალა სხვათა დაკრულზე ხელისუფალთა გაუთავებელი როკვით, რომელნიც ხალხის ჭირ-ვარამზე დაყურადებით კი არა, უცხოთა სურვილების აღსრულების წყურვილით, შეუსვენებლად უვლიან მათთვის ესოდენ მომგებიან ქლესა დავლურს.**



# „სტრატეგიული“ მოკარნახ-მოძალადენი?!

ქლესა დავლურითა და სხვათა ლაქუცით რომ ქვეყანა ვერ აშენდება, ამის არცთუ მცირე გამოცდილება დავაგროვეთ. აი, თუნდაც ფრიად გახმაურებულ იმ საკითხში, „ოცნება“ ხელისუფლებაში მოსვლამდე ხალხს რომ შეჰპირდა — სისხლიანი რეპრესიების შემოქმედ ნაცბანდის თავკაცებს სასტიკად ვაგებინებთ პასუხს ჩადენილი დანაშაულებისთვისო, მაგრამ დანაპირები არ შეასრულა, პირიქით, ძაღლთაპირ ნაცებს დასჯის ნაცვლად „კოჰაბიტაციური მეგობრობის“ ხელი გაუწოდა და ზოგი მათგანისთვის სახელმწიფო სტრუქტურებში მსუყემსუყე თანამდებობებიც არ დაიშურა. დაეფასებინათ მაინც. ახლა ეს სასჯელს თავდაძვრენილი წუპაკები აქეთ ემუქრებიან ქოცებს სასჯელით — თქვენგან „შავი სიების“ შედგენას ვიწყებთ და ხელისუფლებაში მობრუნებისთანავე ჩვენი აშენებული ქვეყნის დანგრევისთვის პასუხს გაგებინებთო(!).

ვერ ვიტყვი, რომ „ოცნების“ ხელისუფლებას ასეთი მცდარი ნაბიჯი ჩვენმა საზღვარგარეთელმა მეგობრებმა თითის ქნევით გადაადგმევინეს: დამნაშავე ნაცების დასჯა არ გაბედოთ, თორემ სამუდამოდ შემოგწყრებითო. არა, მაგრამ დასავლეთისადმი დამკვიდრებული თავის კანტურის ფსიქოლოგიიდან გამომდინარე, იფიქრებ, ემანდ ოპონენტების პოლიტიკურ დევნად არ ჩაგვითვალონო და ამ „ბრალდებისგან“ თავი კოჰაბიტაციით დაიზღვიეს. ბოლოს აკი გაგვიმხილეს კიდეც — ქვეყანაში დემოკრატიის „მაღალი ხარისხი“ რომ შეგვენარჩუნებინა, ნაცების სამართლებრივ დევნაზე ხელი იმიტომ ჩავიქნიეთო.

მერედა, ვინ მოიგო დემოკრატიის „მაღალი ხარისხით“, ქვეყნის ხელისუფლებამ, ნაცების სისხლიანი რეჟიმით წამებულმა ხალხმა თუ თავად ამ რეჟიმის შემოქმედმა ნაცბანდამ? ცხადია, პირველ რიგში, ხელისუფლებამ, რომელმაც გაორმაგებული ნაცების (თავად ნაცები და ევრონაცები) გადარჩენით თავი თავადაც გადაირჩინა: — იცის, რომ ხალხი ავსული ნაცების გვერდით არასდროს დადგება და მომავალ არჩევნებში გამარჯვება წინსწრებით გაინაღდა. თავი ქუდში დაიგულეს დამნაშავე ნაცებმაც, რომლებიც, დიდი ვარაუდით, მომავალ პარლამენტში მთავარი ოპოზიციონერის სანუკვარ წოდებულებას კვლავაც შეინარჩუნებენ. ისევ და ისევ დაზარალებული დარჩა მხოლოდ ხალხი, რომელმაც „მაღალი ხარისხის“ დემოკრატიის წყალობით ვერც ნაცების მიერ დაყაჩაღებული ქონება დაიბრუნა და ვერც ქუჩაში უდანაშაულო ახალგაზრდების ჩახოცვისა და ცოცხებით პატიმრების გაუპატიურებისთვის დამნაშავეთა დასასჯელად გაჩაღებულ საერთო-სახალხო მოძრაობაში მიაღწია სიმართლის აღიარებას.

აი, ესეც თქვენი დემოკრატია და ესეც თქვენი სამართალი! ბოკერია, უგულავა და ძმანი მათნი ახლა ვირის აბანოში რომ უნდა ყურყუმალაობდნენ, ამას რა ფიცი და მტკიცი სჭირდება?

უსამართლობა იქნება იმ დიდი დახმარების დაუფასებლობა, რასაც დასავლელი მეგობრები, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატები გვიწევს ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების დაცვისა და მდგრადი ეკონომიკის განვითარებისთვის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენი ხელისუფალნი ტახტზე წამოგორდნენ და დაელოდონ, სტრატეგიული მეგობრები უცხოეთიდან სამომავლოდ რა გეგმებს შესთავაზებენ. თუ გვინდა, მაღალგანვითარებულ, ცივილიზებულ ქვეყნად ჩამოვყალიბდეთ, უპირველესად, თავი უნდა დავაღწიოთ დასავლეთისადმი მონურ მორჩილებას, რაც ყველაფრის შემაფერხებელი და დამამუხრუჭებელია.

ამ დღეებში პრემიერ გახარიას მისამართით გამოგზავნილმა ამერიკელი კონგრესმენების წერილმა საზოგადოებაში დიდი ხმაური გამოიწვია, სადაც ისინი საქართველოში ეკონომიკის დონის დაქვეითებისა და ხელისუფლების მიერ დაანონსებული პროპორციული არჩევნების მოსალოდნელი ჩავარდნის გამო შეშფოთებას გამოთქვამენ. აბა, ჩვენს სტრატეგიულ მეგობრებს შეშფოთების უფლებას ვინ შეუზღუდავს, მაგრამ, ცოტა არ იყოს, შეცბუნდებით, როცა მასში (შეშფოთებაში) აღმოაჩენთ იმავე განწყობასა და იმავე ლოგიკას, რითაც ჩვენებური ნაცმანიაკი ბოკერიები, უგულავები, ვაშაძეები, სამადაშვილები და ბოკუჩავები თავს ესხმიან თავიანთივე შეფასებით ივანიშვილის „უნიათო და ქვეყნის დამაქცევარ“ ხელისუფლებას.

კრიტიკა ერთია, მაგრამ სინამდვილე კიდევ მეორე. მართალია, ივანიშვილს შერეული არჩევნების პროპორციულით შეცვლის იდეა-თაოსნობა ჩაუვარდა, რაც ნაცებმა მის მორიგ ტყუილად და ხალხის გადაგდებად გაასაღეს, მაგრამ, ფაქტი ის გახლავთ, რომ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დეპუტატთა ერთმა ნაწილმა მხარი არ დაუჭირა ამ თაოსნობას და არა ის, რომ ივანიშვილმა ასეთი არჩევნების იდეა ხალხის გასაცუცურაკებლად ჩაიფიქრა. რაღა დაგიმალოთ, პირადად მეც, დეპუტატი რომ ვყოფილიყავი, გავითვალისწინებდი იმას, რაც მაღალგანვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებში პროპორციულ არჩევნებს მოჰყვა (კოალიციურ მთავრობებს თვეობით ველარ ირჩევენ) და მხარს დავუჭერდი საქართველოში სიმტკიცის გარანტიას — პროპორციულ-მაჟორიტარული სისტემით არჩევნებს და აქვე ამერიკელ კონგრესმენებს იმასაც ვკითხავდი, — რატომ მიაჩნიათ პროპორციულ-მაჟორიტარული სისტემით არჩევნების ჩატარება ჩვენთან დემოკრატიის დამცრობად და იგივე მაჟორიტარული არჩევნები თავიანთთან — დემოკრატიის ნიმუშად?!

**იმათ გასაგონად, ვინც ღირსეულად ვერ აფასებს საქართველოს სახელმწიფოს მიღწევებს და ქართულ დემოკრატიას, შესანიშნავი განცხადება გააკეთა ევრონესტის ვიცე-პრეზიდენტმა კრისტიან ტერესმა. საქართველომ, თქვა მან, რეფორმების გრძელი გზა გაიარა და მიაღწია პროგრესს, რომელსაც დღეს ვერავინ უარყოფს, ქვეყანაში პოლიტიკურ ამინდს ქმნიან სხვადასხვა პარტიები, რომელთაც ურთიერთგანსხვავებული მოსაზრებები აქვთ. ყველა რომ ყველაფერზე თანხმდებოდეს, მაშინ, დემოკრატიაც აღარ იქნებოდა. შიდა დაპირისპირებები უნდა გადაწყდეს ქვეყნის შიგნით და არა გარედან კარნახით.** სრულ სიმართლეს ღაღადებს ბატონი ტერესი. ჩვენს მთავარ სამართლებრივ კანონში — კონსტიტუციაში — შავით თეთრზე გვიწერია, რომ საქართველო არის დამოუკიდებელი სახელმწიფო, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანას აქვს საკუთარი მომავლის განსაზღვრის უფლება და იმის არავითარი საჭიროება არ გახლავთ, რომ საქართველოს ხელისუფლება ერთთავად თვალებში შესციცინებდეს დასავლეთს და ნაცებთან დაძმობილებულ არასამთავრობოებს.

მე, როგორც ამ ჭეშმარიტების თანაზიარი ჟურნალისტი, მხარს ვუჭერ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორის, პრინციპული პუბლიცისტის სპარტაკ ქობულიას მკაცრ შეძახილს „ოცნების“ ხელისუფლებისადმი: **„ან მოაშორეთ საქართველოს ეს გამიზნულად ანტიქართული, მატყუარა, ნაცების მხარდამჭერი არასამთავრობო ორგანიზაციები, ან თქვენ მოგაშორებთ ქართველი ხალხი მართვის სადავეებს 2020 წელსვე!“** ვერაფერს დავამატებ, გამგებმა თუკი ჯერ კიდევ არ გააბდლებულა, ხალხის გულიდან წამოსული ამ შეძახილიდან დასკვნების გამოტანა და ქვეყნის გადამრჩენ პროგრამა-ღონისძიებათა ამოქმედება არამც და არამც სახვალიოდ აღარ უნდა გადადოს.



**ოთარ ხუციშვილი**

## თბილისში მაღაზია „სპარის“ თანამშრომელი დაჭრეს

**შემთხვევა ლუბლიანას ქუჩაზე მოხდა. 24 წლის ახალგაზრდა ცენტრალურ საავადმყოფოშია გადაყვანილი. მას ჭრილობა ფეხის არეში აქვს მიყენებული.**

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, პოლიციამ დამნაშავე უკვე დააკავა. მომხდარზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.

## ავარიას 8 წლის ბავშვი ემსხვერპლა

თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ავტოსაგზაო შემთხვევას 8 წლის ბავშვი ემსხვერპლა. ერთმანეთს ორი მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა. ავარიის შედეგად ტროტუარზე ავარდნილი ავტომობილი მცირეწლოვანს და მის ბაბუას დაეჯახა. ბავშვი ადგილზევე დაიღუპა, ბაბუის ჯანმრთელობის მდგომარეობა კი მძიმეა.

## ბაგრატის ტაძრის მოაჯირიდან რუსი ტურისტი გადავარდა

**ბაგრატის ტაძრის მოაჯირიდან ტურისტი გადავარდა. არსებული ინფორმაციით, ახალგაზრდა კაცი რუსეთის მოქალაქეა.**

თვითმხილვების თქმით, ბიჭი მოაჯირზე ფოტოების გადასაღებად ავიდა, რა დროსაც ფეხი დაუცურდა და სიმაღლიდან გადავარდა. არასრულწლოვანს დაზიანებები აღენიშნება. თვითმხილველების თქმით, სასწრაფო დახმარების ჯგუფმა მოზარდი ბავშთა გამყოფილებაში გადაიყვანა.

## საზღვარზე დიდი ოდენობით მედიკამენტები გადაპქონდათ

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან კოორდინაციით, საქართველოს საბაჟო საზღვარზე, დიდი ოდენობით საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევის ფაქტზე, ერთი პირი ამხილეს.**

გამოძიებით დადგინდა, რომ დანაშაულში მხილებული პირი, საბაჟო - გამშვები პუნქტი წითელი ხიდის გავლით, მისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანის გამოყენებით შეეცადა, აზერბაიჯანში მალულად გადაეტანა დიდი ოდენობით მედიკამენტი.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ამოღებულია სხვადასხვა დასახელების არადეკლარირებული მედიკამენტი, რომლის საბაჟო ღირებულება 22 ათას ლარს აღემატება.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3 -დან 5 წლამდე ვადით.

# გათახსირებული ნაცების ანკესზე წამოგებული კონგრესმენები!

**ქართულ-ამერიკულ 27-წლიან ოფიციალურ დიპლომატიურ ურთიერთობებში ახალი ტრენდი გაჩნდა. სულ რაღაც ერთი თვის მანძილზე ერთმანეთზე მიწყობილად მთავრობამ 7 ამერიკელი კონგრესმენის და სენატორის წერილები მიიღო, რომლებიც „ქართული ოცნების“ აქამდე არნახულ მძაფრ კრიტიკას შეიცავდა. პირველად ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებში ამერიკელმა კონგრესმენმა (რესპუბლიკელი პეტ ოლსონი) საქართველოს მთავრობას საჯაროდ უწოდა „კორუმპირებული.“ ამის საჯაროდ თქმის უფლება საკუთარი თავისთვის აშშ-ის კონგრესმენებს შევარდნაძის პერიოდშიც კი არ მიუციათ, როდესაც გაცილებით მეტი საფუძველი ჰქონდათ ჩვენი მთავრობის კორუფციაში დადანაშაულების.**






პერიოდულად კრიტიკული წერილები აშშ-ის კონგრესიდან საქართველოს მთავრობას „ნაციონალების“ მმართველობის დროსაც მოსდიოდა. თუმცა, განსხვავება ის იყო, რომ სააკაშვილის ხელისუფლება მათ არ ასაჯაროებდა და საზოგადოებას უმალავდა.

ალბათ, ცოტა ვინმეს თუ ეპარება ეჭვი, რომ კონგრესმენთა მიერ ჩვენი მთავრობის „დაბომბვა“ მრისხანე წერილებით „ნაციონალების“ და მათი ამერიკელი ლობისტების ნამუშევარია. რვაწლიანი მმართველობის მანძილზე, თუკი რამეში დააგროვა „ნაცმოძრაობამ“ გამოცდილება და რესურსი, ეს არის ევროპასა დ ამერიკაში მძლავრი ლობისტური ქსელის შექმნა და ლობისტური საქმიანობის ხელოვნება. წერილების შინაარსი და პათოსი ლამის ტყუპისცალებივით ჰგვანან ერთმანეთს და შეიცავენ არაერთ მტკიცებას, რომელსაც რეალობასთან საერთო არაფერი აქვს (ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ). თუმცა ვითომდა „მეგობრების“ წერილებიდან მკაფიოდ იკითხება, რომ ისინი დიდი სტრატეგიის შემადგენელი ნაწილია, რომლის მიზანია არჩევნების წინ „ქართული ოცნების“ როგორც მმართველი პარტიის მაქსიმალური დემორალიზაცია და საზოგადოებაში განცდის შექმნა, რომ „ქართულ ოცნებას“ სხვა არჩევანი არ დარჩენია ხელისუფლების გადაბარების გარდა.

აშშ-ის თავდაცვის მინისტრის ყოფილმა მოადგილემ **მაიკლ კარპენტერმა**, რომელიც ხშირად სტუმრობს საქართველოს, კონგრესმენების წერილს „გამაფრთხილებელი გასროლა“ უწოდა. საინტერესოა, რატომ უნდა სჭირდებოდეს აშშ-ს თავის ოფიციალურ სტრატეგიულ პარტნიორთან გამარფთხილებელი გასროლების ენაზე საუბარი, მით უმეტეს, რომ არავითარი დრამატული და ნეგატიური ორმხრივ ურთიერთობებში არ ხდება და „ფრონტერა“-სთან დაკავშირებული სამართლებრივი კონფლიქტი, რომელიც ამჟამად სტოკჰოლმის საარბიტრაჟო სასამართლოში განიხილება, არის ცალკე შემთხვევა და არაფერ შუაშია ორმხრივ მეგობრულ ურთიერთობებთან. აშშ-ში, სადაც კანონმორჩილება ლამის რელიგიის რანგშია აყვანილი, ლობისტობა ცალკე თემაა და ეს იცის ყველამ, მათ შორის იმ ქართულმა პარტიებმა, რომლებიც დიდწილად გარე მხარდაჭერის ხარჯზე ინარჩუნებენ თავს პოლიტიკურ რუკაზე.

## ლობიზმის შუქჩრდილები აშშ-ში

ამერიკულ პოლიტიკაში ლობისტების წინააღმდეგობრივ როლზე უამრავი რამ დაწერილა და თქმულა. აშშ-ში ისინი პოპულარობით არ სარგებლობენ, მედია მათ არ წყალობთ, რადგანაც მიაჩნიათ, რომ ისინი უსამართლო სარგებელს იღებენ და ლობისტობით ქმნიან ისეთ პოლიტიკას, რომელიც მხოლოდ მათ ასარგებლებს და არა საზოგადოებას და საერთო სიკეთეს. შეიძლება, ბევრმა არ იცოდეს, რომ დღეს აშშ-ში ფედერალურ დონეზე 9500 ლობისტია დარეგისტრირებული, რაც ნიშნავს, რომ კონგრესისა და სენატის თითო წევრზე 18 ლობისტი მოდის. ვაშინგტონში მდებარე ორგანიზაციის Center for Responsive Politics მონაცემებით, ლობისტები წელიწადში 3 მილიარდ აშშ დოლარს ხარჯავენ კონგრესის წევრებზე გავლენის მოსახდენად. აშშ-ის კანონმდებლობაში არაერთი ხვრელია, რომელიც აძლევს საშუალებას ბევრ ცნობილ ყოფილ კონგრესმენს, შეასრულოს ლობისტის ფუნქცია ოფიციალური რეგულაციების გვერდის ავლით. მაგალითად ლობისტი, რომელიც მუშაობს ერთი კლიენტის სახელით და ამაზე საკუთარი დროის 20%-ზე მეტს არ ხარჯავს, არ არის ვალდებული, დარეგისტრირდეს და კლიენტთან მისი ურთიერთობის მონაცემები გაასაჯაროოს. მეტიც, კანონმდებლობით ისინი არც ითვლებიან ლობისტებად. ეს „20%-ის წესი“ კარგი საშუალებაა ფარული ლობისტური საქმიანობისთვის. ამერიკული პრესა აჭრელებულია ასეთი შემთხვევებით. მაგალითად, 2006 წელს ყოფილი ლობისტი **ჯეკ აბრამოვი** დამნაშავედ სცნეს გადასახადების დამალვისა და სხვა აფერების გამო. სკანდალში ოცამდე პირი აღმოჩნდა ჩათრეული, მათ შორის კონგრესის უმრავლესობის ლიდერი **თომ დილეი**.

## მაინც, რა სურთ ამერიკელ კონგრესმენებს საქართველოსგან?!

**ლობისტები მეტწილად სახელმწიფო სტრუქტურების ყოფილი თანამშრომლები, მათ შორის ყოფილი კონგრესმენები და სენატორები არიან. შესაბამისად, ხშირად ისინი ლობირებენ იმავე ხალხთან, ვისთანაც წლების მანძილზე ერთად მუშაობდნენ. მაგალითად, „ნაცმოძრაობის“ ამჟამინდელი ლობისტი რენდი შიონემანი წლების მანძილზე სენატორ ჯონ მაკკეინის აპარატის უფროსი იყო. ამერიკულ მედიაში უამრავი ერთმანეთზე უფრო ეშმაკური მეთოდია აღწერილი, რომლითაც ლობისტები ზემოქმედებენ კონგრესმენებზე და სენატორებზე. არცთუ იშვიათად, ლობისტები თავად წერენ კანონებს და მზა ფორმით აწვდიან უკვე „შეკერილ“ კონგრესმენებს. გარდა ამისა, ლობისტები ძალიან ეფექტურად ახდენენ კონგრესმენებზე მაცდუნებელ გავლენას სარფიანი სამუშაოს შეთავაზებით, რაც ნიშნავს დასაქმებას ლობისტურ ფირმაში მას შემდეგ, რაც კონგრესმენი გადადგება ან წააგებს არჩევნებს. საუბარია ათეულობით მილიონ დოლარის ხელფასზე. შესაბამისად, როგორც ამერიკული მედია და ექსპერტები წერენ, ბევრი კონგრესმენი საკმარისზე მეტად არის მოწადინებული დააკმაყოფილოს იმ ლობისტთა ინტერესები და მოთხოვნები, რომლებიც გარკვეული ხნის შემდეგ შეიძლება მათი დამსაქმებლები გახდნენ.**

სადღეისოდ გადამდგარ სენატორთა ნახევარი ლობისტურ ფირმებშია დასაქმებული და იქ დამყარებულ კავშირებსა და გავლენებს სარფიანად ყიდიან შიდა თუ გარე კლიენტებზე. დიდი ალბათობით, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები, მოვალეობის მოხდის მიზნით, კონგრესმენებს გაუგზავნიან განმარტებით წერილებს და შეხვდებიან კიდეც მდგომარეობის გასარკვევად. თუმცა, ეს მათ პოზიციებს ძნელად თუ შეცვლის, თუკი ისინი „ნაციონალების“ ამერიკელ ლობისტებს უკვე წამოგებული ჰყავთ ანკესზე.

## მითები და სინამდვილე

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამერიკელ კონგრესმენთა წერილები სავსეა „მტკიცებებით“ საქართველოში ეკონომიკურვარდნაზე, კორუფციაზე, ბიზნესების შევიწროებაზე, დემოკრატიის უკუსვლასა და მედია-პლურალიზმის შეზღუდვაზე და ა.შ. მოკლედ არ დარჩენილა ცოდვა, რომელშიც კონგრესმენებს „ქართული ოცნება“ არ დაედანაშაულებინოთ. თუმცა ეს „მტკიცებები“ წინააღმდეგობაში მოდის რეალობასთან და იმ საერთაშორისო რეიტინგებთან, რომლითაც წერილების „ინკოგნიტო“ ავტორები, რა თქმა უნდა, არც დაინტერესდებოდნენ გასაგები მიზეზების გამო. კორუფციის აღქმის ინდექსში საქართველო 56 ქულით 180 ქვეყანას შორის 44-ე ადგილს იყოფს ევროკავშირის წევრებთან — ჩეხეთთან და ლატვიასთან ერთად. ხოლო კორუფციის მეორე კვლევის მიხედვით, 41 ქულით, საქართველო, ესპანეთი, ლატვია და ლიეტუვა ერთ რიგში არიან. საქართველოს კი სლოვაკეთსა (57) და ხორვატიაზე (60) უკეთესი მონაცემები აქვს. პრესის თავისუფლების მსოფლიო ინდექსის მიხედვით, რომელსაც ორგანიზაცია რეპორტიორები საზღვრებს გარეშე ადგენს, საქართველოს 28,98 ქულით მე-60 ადგილი უკავია. წინა წელთან შედარებით საქართველო ერთი ადგილით დაწინაურდა. უკრაინა კი 101 პოზიციაზეა. Heritage Foundation 2019 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში — „მეტწილად თავისუფალი“ საქართველო მე-16 ადგილზეა დანია, ესტონეთსა და ლუქსემბურგს შორის.

ტერორიზმის 2019 წლის საერთაშორისო ინდექსში საქართველო მოხსენიებულია ქვეყნად, სადაც ტერორიზმი არის „ძალიან დაბალი.“ 2019 წლის გლობალური ინოვაციების ინდექსში 129 ქვეყანას შორის საქართველო 2017 წლიდან მოყოლებული 68-ე ადგილიდან 48-ე ადგილზე დაწინაურდა!

ჩამონათვალის გაგრძელება, რა თქმა უნდა, კიდევ შეიძლება, თუმცა მოყვანილი მონაცემებიც სავსებით საკმარისია. ბოლოს და ბოლოს ყველა ჩვენგანს გვაქვს თვალები, ყურები და გონი, რომ თავად შევაფასოთ სიტუაცია, რომელიც გვიჩვენებს, რომ პრობლემების და შეცდომების მიუხედავად, რომელთა გარეშეც არ ხდება განვითარება, ქვეყანა მაინც წინ მიიწევს და ვითარდება.

## ბუმერანგის ეფექტი

„ნაციონალები“ და მათი ლობისტები, ბუნებრივია, ტყუილად არ გარჯილან და ფული ტყუილად არ დაუხარჯავთ კონგრესმენების წერილების დაწერასა და გავრცელებაზე. ისინი აქედან კონკრეტულ პოლიტიკურ სარგებელს ელოდებიან. თუმცა, „ნაციონალების“ ქრონიკული პრობლემა ყოველთვის იყო ის, რომ საკუთარ ფასეულობათა ტყვეობაში მყოფთ, არ ესმოდათ და არც სურდათ, გაეგოთ, თუ რით სუნთქავს ქართველი საზოგადოება. მათთვის ქართველი საზოგადოება გაიგივებულია მათ იდეურ მომხრეებთან, რომლებიც სინამდვილეში მოსახლეობის უმცირეს ნაწილს წარმოადგენენ. მათ არ ესმით, რომ თუნდაც ამერიკელი თუ ევროპელი მეგობრების მენტორულ-დამრიგებლური ტონი და ჭკუის სწავლება, ჩვენს საზოგადოებაში მეტწილად უარყოფით კონტექსტში აღიქმება! კონგრესმენების და სენატორების წერილები, რომლებიც სავსეა ფაქტობრივი უზუსტობებით და აშკარად იგრძნობა სიმპათიები „ნაცმოძრაობის“ მიმართ, შესაძლოა, ბუმერანგად დაუბრუნდეს არა მხოლოდ „ნაცმოძრაობას“, არამედ აშშ-ს. სავსებით ცხადია, რომ ამ წერილებით გამხნევებული ოპოზიცია კიდევ უფრო გააძლიერებს ხელისუფლების რევოლუციური გზით შეცვლის მცდელობებს, რასაც ქვეყანაში დესტაბილიზაცია შეიძლება მოჰყვეს. ქართველმა საზოგადოებამ შეიძლება კონგრესმენთა ეს წერილები განიხილოს, როგორც დასავლეთის მცდელობა და სურვილი — ხელისუფლებაში დააბრუნოს „ნაციონალური მოძრაობა.“ შესაბამისად, ხალხი უფრო მოტივირებული გახდეს, ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ ეს არ დაუშვას.

არსებობს საზოგადოებაში ანტიდასავლური და ანტიამერიკული განწყობების გაღვივების ალბათობაც, ასე რომ, სავსებით შესაძლებელია, აშშ-დან მოწერილი „მეგობართა წერილები“ თავად აშშ-ის ადმინისტრაციისთვის გახდეს თავის ტკივილი. დესტაბილიზაცია საქართველოში, წესით, ამერიკელთა ინტერესებში არ უნდა შედიოდეს.



**ზაალ ანჯაფარიძე**

ანტუანი (მარჯვნივ) საბავშვო დღესასწაულზე



# „ყველა გზას ადამიანებამდე მივყავართ“,

## – ასე ამბობდა ანტუან დე სენტ-ეკზიუპერი



ფრანგული ტექსტი ქართულად გადმოაენა **გურამ გოგიაშვილმა**

## „პატარა უფლისწული“

რა იდუმალი და შეუცნობელია ეს ცრემლების სამყარო.

* * *

ყველა გზას ადამიანებამდე მივყავართ.

* * *

სიტყვები მხოლოდ ხელს გვიშლიან ერთმანეთის გაგებაში.

* * *

გამჭრიახი მხოლოდ გულია, ყველაზე მთავარს თვალებით ვერ დაინახავ.

* * *

მეგობრის ყოლას რა სჯობს, გინდაც წყურვილით კვდებოდე.

* * *

გინდ სახლი იყოს, გინდ – უდაბნო და გინდ – ვარსკვლავი, ყველაზე ლამაზი სამივეში ის არის, რაც თვალით არ ჩანს.

* * *

ყველაზე მთავარი ის არის, რასაც თვალი ვერ ხედავს.

* * *

ლამპართ გაფრთხილება უნდათ: ქარის ერთი დაბერვა უმალ ჩააქრობს.

* * *

ადამიანები ჩქარ მატარებლებში კი სხდებიან, მაგრამ თავადაც არ იციან, რას დაეძებენ... ამიტომაც დადიან არიარეზე და ღობე-ყორეს ედებიან.

* * *

ადამიანები ერთ ბაღში ხუთი ათას ძირ ვარდს ახარებენ... მაგრამ იმას ვერ პოულობენ, რასაც ეძებენ...

* * *

რასაც ისინი დაეძებენ, იმისი პოვნა შეიძლება ერთადერთ ვარდში, წყლის ერთ ყლუპში.

* * *

თვალები უსინათლოა, ძებნა გულით უნდა.

* * *

პირუმტკიცოზა არ ეგების, სიტყვა უნდა შეასრულო.

* * *

არც ერთ ჩემს კითხვაზე პასუხი არ გაუცია, მაგრამ, როცა წითლდება, ეს ხომ ჰოობას ნიშნავს, დასტურს?

* * *

როცა ვისმე დაიხელისავებ და გაიშინაურებ, მერე იქნებ საცრემლედაც გაგიხდეს საქმე.

* * *

თუ ყვავილი გიყვარს, სადღაც შორეულ ვარსკვლავზე რომ ხარობს, მაშინ საღამოობით ცაში ცქერას რა სჯობს! ყველა ვარსკვლავი იფურჩქნება.

* * *

შენ რომ წყალი დამალევინე, ის წყალი თითქოს მუსიკა იყო, ოწინარის თოკისგან აჟღერებული. გახსოვს, რა კარგი რამ იყო?

* * *

სუყოველ ადამიანს თავისი ვარსკვლავები აქვს: ზოგზოგთ, ვინც მოგზაურობს, ისინი გზას უჩვენებენ, სხვებისთვის უბრალოდ პატარა მაშხალებია. სწავლულთათვის ისინი მოსახსნელი ამოცანებია... საქმოსანი კაცისთვის კი თითოეული ვარსკვლავი სულ ბაჯაღლო ოქროა, მაგრამ ამ ხალხისთვის ყველა ვარსკვლავი მუნჯია.

* * *

გამოუგლოვებელი არცრაა ამქვეყნად.

* * *

ბველები ხომ იცი, ბორროტები არიან; ვინმეს დაგესვლა გველებისთვის ერთი სიამოვნებაა.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №15

* * *

ჩემი ვარდი ჩემი საპატრონოა... მე პასუხს ვაგებ. მერე რა სუსტია! ოთხადოთხი უბადრუკი ეკალი აქვს, სხვა, აბა, რითი უნდა დაიცვას თავი ამ გავეშებული სამყაროსგან?

* * *

ქვიშა ყოველგვარ ბგერას ახშობს.

* * *

სრულწლოვანთ, საერთოდ მოზრდილ ადამიანებს, ძალიან, ძალიან უყვართ ციფრები. როცა ახალ მეგობარზე ჩამოუგდებ სიტყვას, არცროდის მთავარს არ გკითხავენ. არცროდის არ შეგეკითხებიან: „გვითხარი ერთი, ხმა როგორი აქვს?“ თითქოს პირი აქვთ შეკრულიო, ყველა ერთსა და იმასვე გეკითხება: „რამდენი წლისაა? ძმა რამდენი ჰყავს? რამდენს იწონის? რა ხელფასი აქვს მამამისს?“ და მხოლოდ ამის შემდეგ წარმოუდგენიათ, რომ გაიცნეს ადამიანი. როცა მოზრდილთ ეუბნები: „ვარდისფერი აგურით ნაშენი ლამაზი სახლი ვნახე, ფანჯრებში ნემსიწვერა ყვაოდა, სახურავზე კი მტრედები ღუღუნებდნენ, ისინი ვერანაირად ვერ ახერხებენ ამ სახლის თვალწინ დაყენებას“. იმათ პირდაპირ უნდა უთხრა: „სახლი ვნახე, რომელიც ასი ათასი ფრანკი ღირს“, – და ეგრევე შესძახებენ: „რა ლამაზი რამ ყოფილა!“

* * *

ბავშვები ძალიან ლმობიერნი და შემწყნარებელნი უნდა იყვნენ დიდების მიმართ.

* * *



17 წლის ასაკში

სულაც არ მინდა, რომ ჩემს წიგნს უბრალოდ მხოლოდ თავშესაქცევად კითხულობდნენ.

* * *

რა სევდის მომგვრელია, როცა მეგობრებს ივიწყებენ. მეგობარი ყველას არ ჰყოლია და ძალიან მეშინია, მეც იმ სრულწლოვანთ არ დავემსგავსო, რომელთაც ციფრების გარდა, არცრა აგულისყურებთ ამქვეყნად.

* * *

თესლი... უხილავია. თესლს ღრმად მიწაში სძინავს, სანამ ერთ-ერთი მარცვალი არ გაიღვიძებს, ღივს არ გამოიტანს; მერე ის ნელ-ნელა ამოიწვერება, წელში გაიმართება და გაყლორტებული მზისკენ მიიწევს, საყვარლად ნაზი და უწყინარი.

* * *

თუ რომელიმე ცუდი ბალახია, როგორც კი იცნობ, მაშინვე უნდა ამოგლიჯო.

* * *

ჭირის დღესავით მძულს სხვებისთვის ჭკუის სწავლება.

* * *

გულზე თუ დარდი შემოგაწვა, არცრა დაისის ცქერას არა სჯობს რა...

* * *

სუყველა ყვავილი სუსტია და გულუბრყვილო. ამიტომაც ცდილობენ თავის გამხნევებას. მაგათ ჰგონიათ, აქაოდა ეკლიანები ვართო, დიდიან-პატარიანად ყველას ჩვენი ეშინიანო...

* * *

ვინ იცის, რაერთი მილიონი წელიწადია, რაც ყვავილები ეკლებს ისხამენ. და მილიონობით წელიწადია, რაც ბატკნები მაინც ჭამენ ყვავილთ. ნუთუ ღრმადგონივრული საქმე არ არის იმის გაგება, თუ რატომ ისხამენ ყვავილები ასე ჯიუტად ეკლებს, თუკი არცრა ეკალთაგან არა არგიათ რა? ნუთუ საყურადღებო არ არის, რომ ბატკნებსა და ყვავილებს ომი აქვთ ერთმანეთში? ნუთუ ეს ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და საგულისყურო არ არის, ვიდრე ჩაკურატებული ვაჟბატონის არითმეტიკა? თუ მსოფლიოში ერთადერთ ყვავილს რომ ვიცნობ, რომელიც მარტო ჩემს პლანეტაზე ხარობს, და იმნაირი სხვაგან არსად არ არის, ერთ არამშვენიერ დღეს ბატკანმა ისე ჩაკვრიხა, ვერც მიხვდეს, რაც ჩაიდინა, ნუთუ შენის აზრით, ეს უმნიშვნელო რამ არის?

* * *

თუ ყვავილი გიყვარს, რომლისნაირიც სხვა მილიონობით ვარსკვლავზე არსად არ არის, საკმარისია იმისთვის, რომ ახედო შენი პლანეტის ცას და ბედნიერი იყვე და გულში თქვა: „იქ სადღაც ჩემი ყვავილი ხარობს... მაგრამ თუ ბატკანმა შეჭამა, მაინც სუყველა ვარსკვლავი ერთბაშად ჩამქრალია.

* * *

სისულელეა ტყუილის თქმა, როცა სულ ადვილად გამხელენ.

* * *

არცროდის ყვავილებს არ უნდა უსმინო. უბრალოდ უნდა უცქირო და იყნოსო მაგათი სურნელი.

* * *

ვულკანის ამოფრქვევა იგივეა, რაც ღუმლის მილში გაჩენილი ხანძარი, როცა სულში ჭვარტლს ცეცხლი უჩნდება. რა თქმა უნდა, ჩვენ, დედამიწელები, ნამეტანი პატარა ადამიანები ვართ და არ შეგვიძლია ჩვენი ვულკანების გაწმენდა, აი, რატომ არის, რომ ისინი ამდენ უსიამოვნებას გვაყენებენ.

* * *

ეცადე, რომ ბედნიერების გზიდან არ გადაუხვიო.

* * *

თუ პეპლების გაცნობა მინდა, ორი-სამი მუხლუხიც როგორმე უნდა ავიტანო.

* * *

აუტანელია ჯანჯალი.

* * *

მეფენი ამქვეყნად ყველაფერს მარტივად, ლიტონი თვალით უცქერიან: გვირგვინოსან-ცხებულთათვის ყველა ადამიანი ქვეშევრდომია.

* * *

მეფის კარზე თავის დაჭერის წესი მონარქის წინაშე მთქნარებას კრძალავს.

* * *

მეფისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ, ურჩობას ვერც ვერავისგან ვერ იტანს.

* * *

თუ ავდექი და ჩემს გენერალს ზღვის თოლიად გადაქცევა ვუბრძანე და გენერალმა ბრძანება თუ ვერ შეასრულა, ეს იმისი ბრალი კი არა, ჩემი ბრალი იქნება.

* * *

მე რომ ავდგე ახლა და რომელსამე გენერალს ვუბრძანო, პეპელასავით ყვავილიდან ყვავილზე გადაფრინდ-გადმოფრინდი, ანდა ტრაგედია დაწერე, ან ზღვის თოლიად გადაიქეცი-მეთქი, და გენერალმა ბრძანება არ შემისრულოს, ვინ იქნება დამნაშავე, ის თუ მე?

– თქვენ, თქვენო უდიდებულესობავ! – არც შეყოყმანებულა, ისე უპასუხა პატარა უფლისწულმა.

* * *

თითოეულს მხოლოდ ის უნდა მოსთხოვო, რის მოცემის თავიც აქვს. ძალაუფლება უწინარეს გონივრული უნდა იყვეს. შენ თუ ადექი და შენს ხალხს უბრძანე, ფეხი იშვირე და ზღვაში გადაეშვიო, ეგრევე რევოლუციას მოგიწყობს.

* * *

მოვითხოვ, რომ მზე ჩავიდეს, ოღონდ ჯერ ხელშემწყობ პირობებს დაველოდები, სწორედაც ამ პირობების გათვალისწინებაშია მბრძანებლის სიბრძნე.

* * *

საკუთარი თავის განკითხვა ბევრად ძნელია, ვიდრე სხვებისა. თუ საკუთარი თავის მართებულად განკითხვას შეძლებ, მაშასადამე, ბრძენი ყოფილხარ.

* * *

არ მიყვარს სასიკვდილო განაჩენის გამოტანა...

* * *

თუკი თქვენს უდიდებულესობას ნებავს, რომ სუყოველი თქვენი ბრძანება სრულდებოდეს, თქვენ კეთილგონივრული ბრძანების გამოცემა გმართებთ.

* * *

დიდი უცნაური ხალხია ეს სრულწლოვანები...

* * *

პატივმოყვარეებს ჰგონიათ, სუყველა ჩვენი პატივისმცემელი და თაყვანისმცემელიაო.



ტუშით შესრულებული ავტოპორტრეტი

(გაგრძელება მორიგ ნომერში)



# ენერგოკრიზისი აფხაზეთში რუსეთი დახმარებას არ ჩქარობს

28 იანვრიდან აფხაზეთს ელექტროენერგია გრაფიკით მიეწოდება. ენერგეტიკული კრიზისის მიზეზი „ენგურჰესის“ წყალსაცავში წყლის კრიტიკულად დაბალი დონეა, რომელიც დღეისთვის დაახლოებით 440 მეტრს შეადგენს (ზღვის დონიდან) და დღე-ღამეში ერთი მეტრით კლებულობს. 420-მეტრიან ნიშნულზე სადგური უნდა გაჩერდეს.

**„20 ივლისის მერე ძალიან მშრალი პერიოდი იყო. წინა წელთან შედარებით, (წყალსაცავში) თითქმის 40 პროცენტით ნაკლები წყალი დაგროვდა. ამით არის გამოწვეული ეს ვითარება“,** — უთხრა რადიო თავისუფლებას სადგურის დირექტორმა ლევან მებონიამ.

აფხაზეთში ელექტროენერგია დღეში ორჯერ, ორ-ორი საათით გაითიშება. მაგალითად, გალის რაიონში — დილის ოთხიდან ექვს საათამდე და საღამოს — შვიდიდან ცხრამდე. გათიშვის გრაფიკი წინასწარ გამოქვეყნდა.

ზამთრის თვეებში აფხაზეთი „ენგურჰესის“ რესურსს სრულად ითვისებს. ენერგეტიკოსი გია არაბიძე ოკუპირებულ რეგიონში ენერგომოხმარების ზრდის ორ ძირითად მიზეზს ასახელებს. მათ შორის ერთ-ერთი რეგიონში კრიპტოვალუტის წარმოებაა.

**„ბიტკოინებს საკმაოდ სერიოზული წვლილი აქვს ელექტროენერგიის მოხმარების ზრდაში. ასევე, აფხაზეთში არ არის მოწესრიგებული აღრიცხვიანობა. ფაქტობრივად, ელექტროენერგიის საფასურის ამოღება არ ხდება. უკონტროლო ხარჯვა კი ძალიან სერიოზულად ზრდის მოხმარებას“,** — ამბობს გია არაბიძე.

აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება ახლა ელექტროენერგიას რუსეთისგან ელოდება, თუმცა ჯერჯერობით უშედეგოდ. საკითხის განსახილველად 22 იანვარს სოხუმში იმყოფებოდნენ რუსეთის ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლები.

**„ჩვენ ქვეყნის შიგნით გვაქვს გარკვეული პოლიტიკური პროცესები. ასევე, რუსეთში მთლიანად შეიცვალა მთავრობის შემადგენლობა. ამის გამო ეს საკითხები გაჭიანურდა“,** — განაცხადა რამდენიმე დღის წინ აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრმა ადგურ არძინბამ.

ელექტროენერგიის დეფიციტი აფხაზეთს შარშანაც ჰქონდა. მაშინ პრობლემების დაწყებიდან ერთ კვირაში რუსეთიდან იმპორტი დაიწყო და შეზღუდვაც მოიხსნა.

დღეს დაწესებული შეზღუდვების მიუხედავად, დიდი ალბათობით, „ენგურჰესი“ ზამთრის დასასრულისთვის მაინც გაჩერდება.

**„შეზღუდავენ ორი საათი, მერე ორჯერ მეტს ჩართავენ მომხმარებლები. ეს თითქმის არაფერს იძლევა“,** — ამბობს წინა წლის ცუდ გამოცდილებაზე დაყრდნობით სადგურის ტექნიკური დირექტორი გია ხუბია და ვარაუდობს, რომ სადგური ელექტროენერგიის გამომუშავებას 15 თებერვლის შემდეგ ვეღარ შეძლებს.

**კრიტიკული ვითარების დასრულებას „ენგურჰესში“ აპრილის პირველი რიცხვებისთვის ელოდებიან. გაზაფხულისთვის ჯვრის წყალსაცავში წყლის დონე მატებას დაიწყებს, თბილი ამინდების გამო კი ელექტროენერგიის მოხმარება მცირდება, თუმცა ელექტრომომარაგების თვალსაზრისით, აფხაზეთში 2021 წელიც არ იქნება უკეთესი. დაგეგმილი რემონტის გამო მომავალ წელს „ენგურჰესი“ რამდენიმე თვით უნდა გაჩერდეს.**

**სანდრო ჯუფალაკიანი**

## ჩინეთიდან უცხო ქვეყნის მოქალაქეების ევაკუაციას საჭიროდ არ მიიჩნევენ

**ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ხელმძღვანელი აცხადებს, რომ დარწმუნებულია ჩინეთის ხელისუფლების უნარში, შეაკავოს კორონავირუსის გავრცელება. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ადჰანომ გებრეიესუსმა საზოგადოებას სიმშვიდისკენ მოუწოდა. ორგანიზაციის ხელმძღვანელი ჩინეთიდან უცხო ქვეყნის მოქალაქეების ევაკუაციას საჭიროდ არ მიიჩნევს.**

**ჩინეთის სახელმწიფო სააგენტოს „სინჰუას“ ცნობით, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა პეკინში ჩინეთის სახელმწიფო მრჩეველთან ვან ისთან შეხვედრისას დადებითად შეაფასა ვირუსის გავრცელების წინააღმდეგ მიმართული მთავრობის ზომები.**

## საფრანგეთი და აშშ უხანიდან საკუთარი მოქალაქეების ევაკუაციას იწყებენ



**პირველი თვითმფრინავი, რომლითაც ჩინეთის ქალაქ უხანიდან საფრანგეთის მოქალაქეები სამშობლოში დაბრუნდებიან პარიზში ხუთშაბათს დაეშვება. ამ რეისით ქვეყანაში დაბრუნდებიან ისინი, ვისაც კორონავირუსის სიმპტომები არ აღენიშნებათ. პარიზში დაშვების შემდეგ მათ კარანტინს დაუწესებენ. საფრანგეთის იმ მოქალაქეებისთვის, ვისც ვირუსის სიმპტომები აღენიშნებათ, საგანგებო რეისი მოგვიანებით დაინიშნება. მათ მკურნალობაზე უკვე პარიზში იზრუნებენ.**

**26 იანვარს უხანიდან მოქალაქეების ევაკუაცია აშშ-მა დაიწყო, დღეს კი ცნობილი გახდა, რომ უხანში მყოფი საქართველოს მოქალაქეების სამშობლოში დაბრუნებაც იგეგმება. ბოლო მონაცემებით, ახალი ტიპის კორნავირუსმა 2019-nCoV ჩინეთში 106 ადამიანი იმსხვერპლა, 4515 კი დაინფიცირებულია..**

**ჯანდაცვის ეროვნული კომისიის ინფორმაციით, ბოლო დღე-ღამის განმავლობაში 26 პაციენტი დაიღუპა, აქედან 24 ხუბეის პროვინციაში, ერთი პეკინში, კიდევ ერთი კი — ჰაინანის პროვინციაში. ექიმები ეჭვობენ, რომ ვირუსი კიდევ 6973 ადამიანს აქვს, 60 პაციენტი საავადმყოფოებიდან გაწერეს. მედიკოსების მეთვალყურეობის ქვეშ 44 132 ადამიანი რჩება, რომლებსაც დაავადებულებთან კონტაქტი ჰქონდათ.**

* * *

**კომპანია Microsoft-ის დამაარსებელი და ყოფილი ხელმძღვანელი ბილ გეიტსი ჩინეთში გავრცელებული ახალი კორონავირუსის 2019-nCoV-ის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაერთო და 10 მილიონი დოლარი გადარიცხა. ამ თანხიდან 5 მილიონი უშუალოდ დაავადებასთან ბრძოლას მოხმარდება და ის სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებს გადაერიცხებათ, რომლებიც დაავადების კონტროლით და დაინფიცირებულების ზრუნვით არიან დაკავებულები, დანარჩენ თანხას კი დაავადების კონტროლისა და აღკვეთის აფრიკული ცენტრი მიიღებს.**

## ნათია თურნავა: ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ჩვენი აფხაზი ძმები და დები რთულ ვითარებაში არ დავტოვოთ



**შარშანდელის მსგავსად, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ არ დავტოვოთ ჩვენი აფხაზი ძმები და დები რთულ ვითარებაში,** — ამის შესახებ ჟურნალისტებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ განუცხადა. ენგურჰესის წყალსაცავში წყლის დონე კრიტიკულ ზღვარზეა. ზამთრის პერიოდში ენგურჰესის მიერ წარმოებული ელექტროენერგია მთლიანად აფხაზეთის რეგიონს მიეწოდება. წყალსაცავში წყლის შემცირების გამო, ელექტროსადგური სრული დატვირთვით ვერ მუშაობს და აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობამ რეგიონში ოთხსაათიანი გრაფიკი დააწესა. წყალსაცავში წყლის დონის კიდევ უფრო შემცირების შემთხვევაში, ენგურჰესის მიერ ელექტროენერგიის გენერირება უფრო დაეცემა.

ეკონომიკის მინისტრის ნათია თურნავას განცხადებით, გასული წელი ჰიდროლოგიის თვალსაზრისით, საკმაოდ რთული იყო, რაც ენგურჰესის რესურსებსაც დაეტყო. მინისტრის თქმით, საქართველოს მთავრობა ყველაფერს გააკეთებს, რომ აფხაზეთის რეგიონი რთულ ვითარებაში არ დატოვოს.

მისივე ინფორმაციით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, ასევე ევროპის საინვესტიციო ბანკის დახმარებით, ენგურჰესისა და ვარდნილჰესის რეაბილიტაცია იწყება. პროექტის დასრულების შემდეგ, სამ წელიწადში, ორივე ელექტროსადგურის სიმძლავრეები თავის ისტორიულ დონეზე ავა.

## „საქპატენტმა“ ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებები რუსეთის ფედერაციაში დაიცვა

**საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა „საქპატენტმა“ შვიდი ქართული ადგილწარმოშობის დასახელება: „ვაზისუბანი“, „ნაფარეული“, „გურჯაანი“, „მანავი“, „თელიანი“, „ყვარელი“ და „კახეთი“ რუსეთის ფედერაციის ინტელექტუალური საკუთრების ფედერალურ სამსახურში (როსპატენტი) დაარეგისტრირა.**

საქპატენტმა, ქართული დასახელებების სამართლებრივი დაცვის მინიჭების მოთხოვნით, როსპატენტს გასული წლის აგვისტოში მიმართა. აღნიშნულ დასახელებებზე განსაკუთრებული უფლება, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე „ღვინის ეროვნულ სააგენტოს“ მიენიჭა.

საქპატენტი კვლავ გააგრძელებს სტრატეგიულ ბაზრებზე ქართული ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების რეგისტრაციისა და დაცვისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას.

## ანაკლიის პორტის მშენებლობის ინვესტორი მალე შეირჩევა...

**ანაკლიის პორტის პროექტთან დაკავშირებით ინტერესთა გამოხატვის გამოცხადებისთვის ვემზადებით,** — ამის შესახებ პირველმა ვიცე-პრემიერმა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა მაია ცქიტიშვილმა განაცხადა. მისი თქმით, ახალი ინვესტორი ინტერესთა გამოხატვის შედეგად შეირჩევა.

**„ანაკლიის განვითარების კონსორციუმთან ხელშეკრულება შეწყდა და ვემზადებით, რომ ახალი ინტერესთა გამოხატვა გამოვაცხადოთ, რომლის საფუძველზეც შეირჩევა ახალი ინვესტორი, რომელიც შეძლებს და ექნება საკმარისი ფინანსური რესურსი, გამოცდილება, რათა ეს პროექტი განახორციელოს. ამ ეტაპზე, ინტერესთა გამოხატვის პირობებზე მიმდინარეობს მუშაობა. წინა ინტერესთა გამოხატვა 2014 წელს გამოცხადდა, მას შემდეგ ძალიან ბევრი რამ შეიცვალა. უშუალოდ საინვესტიციო ხელშეკრულებაშიც კი ახალი პირობები იყო ჩამოყალიბებული. ასევე მოგეხსენებათ, ბანკებთან მოლაპარაკებების შედეგად, გარკვეულ ცვლილებებზე დათანხმდა მთავრობა. შესაბამისად, ახალ ინტერესთა გამოხატვაში ყველა ეს ცვლილება უნდა ჩაიდოს“,** — განაცხადა ცქიტიშვილმა.



მისი თქმით, მთავრობა აუცილებლად იმუშავებს საერთაშორისო პარტნიორებთან, საერთაშორისო ბანკებთან, რომლებიც შესაძლოა, მომავალშიც მოიაზრებოდნენ აღნიშნული პროექტის დამფინანსებლებად.

**„შესაბამისად, ინვესტორებს უკვე ერთიან პოზიციას, ინტერესთა გამოხატვის ერთიან პირობებს შევთავაზებთ“...**

ევრო – 2022

# რეალური შანსი

**საქართველოს ფუტსალის ეროვნულმა ნაკრებმა თბილისის ოლიმპიურ სასახლეში ღია ვარჯიში გამართა. ავთანდილ ასათიანის გუნდს გუშინ ლეგიონერები შეუერთდნენ და „ჯვაროსნები" სრული შემადგენლობით შეიკრიბნენ. საწვრთნელი პროცესი ერთი საათი გაგრძელდა და მასში მონაწილეობა 15-მა მოთამაშემ მიიღო. მათ შორისაა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მცველი გიორგი ღავთაძე, რომელიც ოფიციალური მატჩებისთვის ეროვნულ ნაკრებთან ერთად პირველად ემზადება, გამოცდილმა ფორვარდმა ვახტანგ კეკელიამ კი ბოლო ვარჯიში მსუბუქი ტრავმის გამო გამოტოვა.**

**საქართველოს ფუტსალის ეროვნული ნაკრების შემადგენლობა:**

**მეკარეები:** ზვიად კუპატაძე (ტტგ-იუგრა, რუსეთი), თორნიკე ბუკია (ტატიშვილი, თბილისი), ალექსანდრე ჯამბურია (ჯორჯიანსი, თბილისი), დავით კეპაშვილი (თსუ, თბილისი).

**მცველები:** თალეს ფეიტოსა (ცრვენა ზვეზდა, სერბეთი), გიორგი ღავთაძე (კავკასიის უნივერსიტეტი, თბილისი), ვახტანგ ჯვარაშვილი (ჯორჯიანსი, თბილისი), კახაბერ მაისაია (სალინესი, ბოსნია-ჰერცეგოვინა), მალხაზ მურცხვალაძე (სორო-კომპანია, უზბეკეთი), მიხეილ თევზაძე (თსუ, თბილისი), შოთა თოფურია (ჯორჯიანსი, თბილისი), ნიკოლოზ ზედელაშვილი (დოროჟნიკი, ბელარუსი)

**თავდამსხმელები:** ვახტანგ კეკელია (სორო-კომპანია, უზბეკეთი), ნიკოლოზ კურტანიძე (პსპ, თბილისი), რონინიო (ხერსონი, უკრაინა), გია ნიყვაშვილი (ვალეტა, მალტა), სიმი საიოტი (კპრფ, რუსეთი), არჩილ სებისკვერაძე (ცრნიცა, ხორვატეთი), ფუმასა (აპოელი, კვიპროსი), ლევან სვანიძე (პსპ, თბილისი), ნუკრი ჭუმბურიძე (რედ დრაგონსი, პოლონეთი), ირაკლი თოდუა (აეკ ლარნაკა, კვიპროსი).



საქართველოს ფუტსალის ეროვნული გუნდი ევრო 2022-ის საკვალიფიკაციო ეტაპის F ჯგუფში გერმანიის, ავსტრიისა და კოსოვოს ნაკრებებთან ერთად იასპარეზებს. ჩვენი გუნდი პირველ შეხვედრას დღეს 19 საათზე გერმანიის წინააღმდეგ გამართავს. მატჩს თბილისის ოლიმპიური სასახლე უმასპინძლებს და მასზე დასწრება თავისუფალია.

საკვალიფიკაციო ეტაპის ფარგლებში გასამართავი სამივე შეხვედრის პირდაპირ ტელერეპორტაჟს საქართველოს პირველი არხი შემოგთავაზებთ.

**გიორგი შოთაძე**

ჭადრაკი

# დაწინაურდა ხოტენაშვილი



**გიბრალტარში გრძელდება ტრადიციული საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი, რომელშიც საქართველოს ხუთი წარმომადგენელი მონაწილეობს. შეჯიბრების სოლიდურმა საპრიზო ფონდმა (ტურნირის გამარჯვებული 30.000 ფუნტი სტერლინგით დაჯილდოვდება, მეორე-მეოთხე ადგილებზე გასულნი, შესაბამისად, 20.000-15.000-10.000-ს, ხოლო ქალების საუკეთესო სამეული 20.00-10.000-6.000 გირვანქას მიიღებს) ძალიან ძლიერ დიდოსტატებს მოუყარა თავი, რომელთა შორის მრავლად არიან მსოფლიოსა და ევროპის ექსჩემპიონები.**

ტურნირზე უკვე გათამაშდა ექვსი ტური. ხუთი პარტიის შემდეგ 4.5-4.5 ქულით ოთხი დიდოსტატი მეწინავეობდა. მეექვსე ტურში სწორედ ისინი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. თბილისელმა ივან ჩეპარინოვმა თეთრი ფიგურებით ანდრეი ესიპენკოსთან (რუსეთი) წააგო, ხოლო პარჰამ მაგსუდლუ (ირანი) და დავიდ პარავიანი (რუსეთი) დაზავდნენ. ამდენად, 5.5 ქულით ესიპენკო დაწინაურდა.

ქალებში 4.5 ქულით ბელა ხოტენაშვილი ლიდერობს. მე-6 ტურში მან თეთრებით ჟულეტ მუსაროს (საფრანგეთი) სძლია. ჩეპარინოვისა და ხოტენაშვილის გარდა, ჩვენებურთა სამი პარტია ასე დასრულდა: ლუკას რანალდი (ნორვეგია) — ლელა ჯავახიშვილი 0:1, ბოგდან-დანიელ დიასი (რუმინეთი) - ნინო ბაციაშვილი 1:0, სალომე მელია — რენატო პინტო კვანტილიანო (ბრაზილია) 0:1.

**ექვსი ტურის შემდეგ:** ანდრეი ესიპენკო (რუსეთი) — 5.5, მიხაილ ანტიპოვი (რუსეთი), ვან ჰაო (ჩინეთი), პარჰამ მაგსუდლუ (ირანი), დავიდ პარავიანი (რუსეთი), მიხეილ ქობალია (რუსეთი), პრაგანანდხა (ინდოეთი), ალან პიჩოტი (არგენტინა) — 5-5 ქულა.

**ქალები:** ბელა ხოტენაშვილი - 4.5, ნატალია ბუკსა (უკრაინა), ჟანსაია აბდუმალიკი (ყაზახეთი), ანა მუზიჩუკი (უკრაინა), თან ჩჟუნი (ჩინეთი), ნატალია პოგონინა (რუსეთი) — 4-4 ქულა.

**ქართველთაგან:** ივან ჩეპარინოვი - 4.5, ლელა ჯავახიშვილი — 3.5, ნინო ბაციაშვილი — 3, სალომე მელია — 2.5 ქულა.

შეჯიბრების დამთავრებამდე 4 ტური დარჩა.

**ლევსო ცინცაძე**

ყრილობა

# კაპიტანთა ტვირთი

**ხვალ „ქორთიარდ მარიოტს" საქართველოს რაგბის კავშირის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის უნდა ემასპინძლა, მაგრამ, როგორც გუშინ შევიტყვეთ, ყრილობა 24 თებერვლისთვის გადაიდო.**

ჩვენს ქვეყანაში, სადაც ლამის ყოველ წელს იმართება წელს ქვემოთ დარტყმების სიუხვითა და ათასგვარი სიბინძურით გამორჩეული საარჩევნო მარათონები (გნებავთ — კამპანიები), დამდეგი ფორუმი, წესითა და რიგით, მორიგ, ერთობ ჩვეულებრივ თავყრილობად უნდა მიიჩნეოდეს, მით უმეტეს მაშინ, როცა საუბარია ერთი შეხედვით სპორტის სხვა სახეობებთან შედარებით ყველაზე სუფთა სარაგბო თემის შიდა სამზარეულოზე, მაგრამ თურმე არც მთლად მასე ყოფილა საქმე.

დავიწყოთ იმით, რომ მსოფლიო თასზე ზედიზედ მეხუთედ გასულ „ბორჯღალოსანთა" მიერ შარშანდელი იაპონური ტურნირის ჩაგდების შემდეგ საერთაშორისო რეიტინგში მე-14 პოზიციამდე დავეშვით, რამაც დიდი კითხვის ნიშანი დაუსვა ელიტურ „ექვს ერში" ჩვენი ეროვნული ნაკრების გაწევრების ამბიციათა საფუძვლიანობას და ისიც კი სათუო გახდა, ინარჩუნებს თუ არა რაგბი საქართველოში სპორტის ყველაზე წარმატებული სახეობის სტატუსს.

არანაკლებ დამაფიქრებლად გვესახება ქართული სარაგბო ოჯახის მთლიან ორგანიზმში გაჩენილი აზრი, რასაც, თუნდაც, სრკ-ის მაღალი მიღწევების სტრუქტურის ყოფილ თავკაც ბაჩო ხურციძის ფაქტორი ადასტურებს, რომელმაც პოსტის ხმაურიანად დატოვების მიუხედავად, საკუთარი კანდიდატურა წლევანდელ არჩევნებზე მაინც წამოაყენა და სარევანშო ხელთათმანი, მნიშვნელოვანწილად, სრკ-ის მოქმედ ადვოკატ-ხელმძღვანელ გოჩა სვანიძეს სტყორცნა და არა რატომღაც სახელისუფლებო ფავორიტად მიჩნეულ „ბორჯღალოსანთა 9-წლიან კაპიტანსა და ჯერ დედაქალაქის საკრებულოს, ხოლო ამჟამად საქართველოს პარლამენტის დეპუტატ ირაკლი აბუსერიძეს.







ნიშანდობლივია მოახლოებული ყრილობის გამართვის ადგილიც, რომელთანაც ქართულ სპორტულ (არამარტო) საზოგადოებას მწარე მოგონებები აკავშირებს. დიახ, ფეხბურთის ჩვენებურ ქომაგთათვის უწმინდეს თარიღად ქცეულ 13 მაისს (ოღონდ 2007 წელს) სწორედ „ქორთიარდ მარიოტში" გათამაშდა ძალაუფლებით გარყვნილ — დაბანგული ნაციონალური ხროვის მიერ გათამაშებული ფარსი, რასაც სფფ-ს პრეზიდენტად არჩეული გიორგი ნემსაძის (მიაქციეთ ყურადღება — ისიც ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანია) „ნებაყოფლობითი" გადადგომა მოჰყვა.

თბილისის მოქმედი მერის, ასევე „ჯვაროსანთა" ყოფილი კაპიტნის კახი კალაძის მიმართ იმავე ბნელი პოლიტიკური ძალისა და მის სატელიტთა მიერ განხორციელებული და ამ დღეებშიც მიმდინარე, ალვირახსნილობაში გადაზრდილი აგრესიული პრესინგის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წარმატებულ, ერის სასახელო სპორტსმენთა მიმართ, რატომღაც, არაჯანსაღი ფონია შექმნილი, რასაც წერტილი უნდა დაესვას.

**გია პლატონიშვილი**

გულის ბუხარი

# „მეფური" პირობა

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერი ლებრონ ჯეიმსი კობი ბრაიანტს ემოციური წერილით დაემშვიდობა. „მეფემ" კალათბურთის ლეგენდას ზეციდან მფარველობა სთხოვა და პირობა მისცა, რომ მის გზას გააგრძელებს, რადგან საამისო პასუხისმგებლობა იკისრა.

**„არ ვარ მზად, მაგრამ ვიწყებ. ვზივარ აქ და ვცდილობ, ამ პოსტისთვის რაღაც დავწერო, მაგრამ ყოველ ჯერზე შენ და ჩემი ძმისშვილი ჯიჯი, ჩვენი მეგობრობა, ძლიერი კავშირი და ძმობა მახსენდება, ტირილს ვიწყებ. კვირა დილით გავიგე ფილადელფიაში შენი ხმა ლოს ანჯელესში დაბრუნებამდე. მილიონ წელიწადში ერთხელაც ვერ ვიფიქრებდი, რომ ეს ჩვენი ბოლო საუბარი იქნებოდა. ჯანდაბა! გულგატეხილი და განადგურებული ვარ, ძმაო. მიყვარხარ, ჩემო უფროსო ძმაო. მთელი გულით ვანესასთან და ბავშვებთან ერთად ვარ. გპირდები, რომ შენს მემკვიდრეობას გავაგრძელებ. შენ ყველა ჩვენგანისთვის, განსაკუთრებით „ლეიკერსისთვის" ძალიან ბევრს ნიშნავ. ჩემი პასუხისმგებლობაა ეს ტკივილი ზურგით ვატარო და ასე გავაგრძელო. გთხოვ, ზეციდან ძალა მომეცი და დამიფარე აქ, აშშ-ში. კიდევ ბევრი რამის თქმა მსურს, მაგრამ ახლა, უბრალოდ, არ შემიძლია, რადგან არ ვიცი რა ვთქვა. ნახვამდის, სანამ ისევ არ შეგხვდები, ჩემო ძმაო",** — დაწერა ლებრონმა ტვიტერში.

შეგახსენებთ, რომ კობი ბრაიანტის ვერტმფრენმა კატასტროფა კალიფორნიაში განიცადა. მასთან ერთად მისი 13 წლის ქალიშვილი და ბორტზე მყოფი კიდევ 7 ადამიანი დაიღუპა.

**ვიტალი ჯაფარიძე**



დანართი №1 (4 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2020 წლის „27 იანვრის“
№ 01-01-3/10 ბრძანებით

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

| N | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | საბადო ან გამოვლინება | კატეგორია | ლიცენზიის მოქმედების ვადა | მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა მ3/წელიწადში | საწყისი ფასი (ლარი) | ბე-ს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ერგე | დასაწყობებული ინერტული მასალა (ტექნოგენური დანაგროვები) | $P_2$ | 3 წელი | 70 298 $მ^3$ | 53 505 | 16 200 |

| | |
|---|---|
| დამატებითი სალიცენზიო პირობები: | **ლიცენზიის მფლობელი ვალდებული იქნება, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემიდან 2 (ორი) წლის ვადაში არ გაასხვისოს მოსაპოვებელი სასარგებლო წიაღისეულის 50% და საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიმართვის საფუძველზე უზრუნველყოს მისი გადაცემა განსაზღვრული ფასის (ლიცენზიის მფლობელის მიერ გადახდილი საუქციონო ფასის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის განსაზღვრული მოსაკრებლისა და რესურსის მოპოვებისათვის სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით დადასტურებული საჭირო თანხის ჯამი) შესაბამისად საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის კონტრაქტორი ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ახორციელებენ განსაკუთრებული მნიშვნელობის საგზაო და ნაპირდაცვის ინფრასტრუქტურულ პროექტებს, მათ შორის ბათუმის შემოვლითი გზის მიმდინარე პროექტს.** |
| სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით;<br>ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწვრივ დასაწყობებული ინერტული მასალის (ტექნოგენური დანაგროვების);<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს მარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>დ)ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, გზის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა (გზის საფუძვლისა და ასფალტობეტონის საფარის მოწყობა), ასევე წიაღისეულის ტრანსპორტირებისას ავტოსატრანსპორტო საშუალების ღერძზე დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმას.<br>ე) ლიცენზიის მფლობელმა უნდა უზრუნველყოს სალიცენზიო ობიექტის კოორდინატების თვალსაჩინოდ მონიშვნა.<br>ვ) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება;<br>ზ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით;<br>თ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;<br>ი) ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;<br>კ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წიაღითსარგებლობის განხორციელებისას გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში შეასრულოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;<br>ლ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის |
| | პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;<br>მ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>ნ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო |
| საიდენტიფიკაციო ნომერი | 245429200 |
| მისამართი/ტელეფონი | ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10 |
| სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2020 წლის 29 იანვარს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2020 წლის 02 მარტს დღის 18.00 საათზე |
| აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2020 წლის 02 მარტს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2020 წლის 02 მარტს დღის 18.00 საათზე |
| სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |




# უკანონოდ მოწყობილ ლტოლვილთა ბანაკიდან მიგრანტებს ასახლებენ

საფრანგეთის ხელისუფლებამ გუშინ დილიდან პარიზის გარეუბანში უკანონოდ მოწყობილი ლტოლვილთა ბანაკიდან მიგრანტების გამოსახლება დაიწყო. ადგილზე მობილიზებული იყვნენ სამართალდამცველები.

პოლიცია მიგრანტებს სხვადასხვა ბანაკში გადანაწილებას სთავაზობს. უკანონოდ მოწყობილ ბანაკში ათასამდე ადამიანი ცხოვრობდა. მათი უმეტესობა ავღანელია, თუმცა ბანაკს თავს აფარებდნენ ასევე ახლო აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთ აფრიკიდან ჩასული მიგრანტები. სამართალდამცველების განცხადებით, ბანაკის მოწყობის შემდეგ, დედაქალაქის გარეუბანში სანიტარიული მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. ამასთან, ბანაკში ტუბერკულოზის და სხვა ინფექციური დაავადებების მქონე პირები იმყოფებოდნენ.

# თალიბებმა ავღანეთში თვითმფრინავი ჩამოაგდეს

მოძრაობა „თალიბანმა“ განაცხადა, რომ ღაზნის პროვინციაში თვითმფრინავი ჩამოაგდო. თვითმფრინავს ამერიკელი სამხედროები, მათ შორის მაღალჩინოსანი ოფიცრები გადაჰყავდა. ბორტზე მყოფი ყველა ადამიანი დაიღუპა.



მანამდე გავრცელდა ინფორმაცია, რომ კატასტროფა ავღანური ავიაკომპანია Ariana Airlines-ის სამგზავრო თვითმფრინავმა განიცადა. თავის მხრივ, ქაბულში ამერიკელმა ჩინოსანმა Reuters-ს განუცხადა, რომ ჩამოვარდნილი თვითმფრინავი არც აშშ-სა და არც ნატოს არ ეკუთვნის.

# დონბასელები რუსეთის მოქალაქეებად ეწერებიან

რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, 2019 წელს რუსეთის მოქალაქეობა დონბასის 220 ათასმა მცხოვრებმა მიიღო. როგორც უწყებაში აცხადებენ, უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრებ მოქალაქეებს შორის რუსეთის მოქალაქეობის მიღების მსურველთა რიცხვი იზრდება.

მათივე ინფორმაციით, საბუთების მიღების პუნქტებში ყოველდღიურად 1500 განაცხადი შედის. რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ რუსეთის მოქალაქეობის მიღების შემდეგ, დონბასის მცხოვრებლები რუსეთში მოქმედი სოციალური შეღავათებით ისარგებლებენ, ასევე შეძლებენ რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლას.



## საქონლის ადგილწარმოშობის დასახელება

# საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის „წარაფი“ წარმოების სპეციფიკაცია

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქპატენტი „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, აქვეყნებს ა(ა)იპ – „კარდენახის ღვინოს“ მიერ საქპატენტში წარმოდგენილი განაცხადის მასალებს.

თუ განაცხადის მასალების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში ამ მასალებთან დაკავშირებით საქპატენტში არ შემოვა დამატებითი ინფორმაცია, ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაციის შესახებ ცნობები შეტანილი იქნება ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის სახელმწიფო რეესტრში და გამოქვეყნდება საქართველოს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში.

თუ განაცხადის მასალების გამოქვეყნებიდან სამი თვის ვადაში ამ მასალებთან დაკავშირებით საქპატენტში შემოვა დამატებითი ინფორმაცია, ის შესასწავლად გადაეგზავნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

# „წარაფი“

განაცხადის №3489/06
განაცხადის შეტანის თარიღი: 2019 29 07
ადგილწარმოშობის დასახელება: „წარაფი“
საქონლის დასახელება, რომლისთვისაც მოითხოვება ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაცია: ღვინო
განმცხადებლის სახელი და მისამართი: ა(ა)იპ – „კარდენახის ღვინო“, სოფელი კარდენახი, მე-15 შესახვევი, №10, გურჯაანის რაიონი, საქართველო

**1. დასახელება:** „წარაფი“
**2. დამატებითი აღნიშვნები:**
**3. ტიპი, ფერი და ძირითადი მოთხოვნები**

- „წარაფი“ ქარვისფერი მშრალი ღვინოა. იგი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
- ფერი – მუქი ქარვისფერიდან ჩალისფერამდე;
- არომატი და გემო – სხეულიანი, ენერგიული, ექსტრაქტული და ხავერდოვანი, კარგად გამოხატული ჯიშური არომატით, ზომიერი და რბილი სიმწკლარტით, რაც მის ტიპიურობას განაპირობებს. დავარგებისას ღვინოს უვითარდება მკვეთრად გამოხატული ბუკეტი ხილის ტონებით;
- ფაქტობრივი მოცულობითი სპირტშემცველობა არ უნდა იყოს 12 %-ზე ნაკლები;
- დაყვანილი ექსტრაქტის მასის კონცენტრაცია არ უნდა იყოს 24 გ/ლ-ზე ნაკლები;
- შაქრიანობა არ უნდა აღემატებოდეს 4 გ/ლ-ს;
- ტიტრული მჟავიანობა არ უნდა იყოს 5 გ/ლ-ზე ნაკლები;
- სხვა მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**4. წარმოების გეოგრაფიული არეალი და ზონები**

„წარაფის“ მიკროზონა მდებარეობს გურჯაანის რაიონის სოფ. კარდენახის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე, ცივ-გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთი დაქანების დადაბლებულ 3-$4^0$ დახრილობის ექსპოზიციაზე, მდ. ალაზნის მარჯვენა სანაპიროზე, ჩრდილო განედის $41^048'$ და აღმოსავლეთი გრძედის $45^044'$ კოორდინატებზე, ზღვის დონიდან 350-550 მ სიმაღლეზე.

წარაფის მიკროზონა მოქცეულია კარდენახის მიკროზონის ფარგლებში. ჩრდილო დასავლეთიდან რკინის გზამდე მას ესაზღვრება მღვრიე ხევი, ხოლო რკინიგზის შემდეგ სარწყავ არხამდე – ბაკურციხის ადმინისტრაციული საზღვარი, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ესაზღვრება სარწყავი არხი, სამხრეთ აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ანაგის ადმინისტრაციული საზღვარი, სამხრეთ-დასავლეთიდან მღვრიე ხევამდე ესაზღვრება ბაკურციხე-წნორის ავტომაგისტრალი, ხოლო მღვრიე ხევის შემდეგ – რკინიგზა.

**5. ვაზის ჯიშები**

„წარაფი“ მზადდება მხოლოდ წარაფის მიკროზონაში მოწეული რქაწითელის ჯიშის ყურძნიდან. „წარაფის“ დამზადებისას რქაწითელის ჯიშის ყურძენს შეიძლება დაემატოს 15%-მდე კახური მწვანის და/ან ხიხვის ჯიშის ყურძენი. დაუშვებელია სხვა ჯიშების გამოყენება.

**6. ვენახის გაშენება, სხვლა-ფორმირება და მოვლა**

- წარაფის მიკროზონაში, ღვინო „წარაფისთვის“ განკუთვნილი სამეწარმეო ვენახები გაშენებული უნდა იყოს 350– 550 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან;
- ვენახის რიგთაშორის მანძილი შეიძლება იყოს 1-დან 2,5 მეტრამდე;
- ვაზთაშორის მანძილი რიგში 0,8-1,5 მეტრი;
- შტამბის სიმაღლე – 60-90 სმ;
- სხვლის ფორმა – ცალმხრივი ან ორმხრივი ქართული, ან თავისუფალი.

ვაზის გაშენება, მისი გასხვლა-ფორმირება და დაცვა მავნებლებისა და დაავადებებისაგან, აგრეთვე, ნიადაგის დამუშავება, მისი განაყოფიერება და სხვა ოპერაციები ხორციელდება ყურძნის მწარმოებლის მიერ შერჩეული აგროტექნიკური ღონისძიებების შესაბამისად.

**7. ყურძნის სიმწიფე, რთველი, ტრანსპორტირება**

- „წარაფი“ მზადდება მხოლოდ მწიფე ყურძნისაგან. ყურძნის შაქრიანობა კრეფის დროს არ უნდა იყოს 21 %-ზე ნაკლები;
- ყურძნის ტრანსპორტირება დასაშვებია მხოლოდ ხის ან პლასტმასის ყუთებით, უჟანგი ფოლადისაგან დამზადებული ან სპეციალური საღებავით შეღებილი ძარებით;
- დაუშვებელია ყურძნის ტრანსპორტირებისას პოლიეთილენის პარკების და/ან ტომრების გამოყენება;
- ტრანსპორტირებისას ყურძენი მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული შესაძლო დაბინძურებისაგან.

**8. ყურძნის მოსავალი და ღვინის გამოსავალი**

ყურძნის მოსავალი 1 ჰექტარ ვენახზე არ უნდა აღემატებოდეს:

- რქაწითელისთვის – 10 ტონას;
- კახური მწვანისთვის – 8 ტონას;
- ხიხვისთვის – 6 ტონას.

ღვინის გამოსავალი არ უნდა აღემატებოდეს:

- 650 ლიტრს – ერთი ტონა ყურძნიდან;
- 6 500 ლიტრს – ერთი ჰა ვენახიდან რქაწითელისთვის;
- 5 200 ლიტრს – ერთი ჰა ვენახიდან კახური მწვანისათვის;
- 3 900 ლიტრს – ერთი ჰა ვენახიდან ხიხვისთვის.

**9. ყურძნის გადამუშავება, ღვინის დამზადება და ჩამოსხმა**

ღვინო „წარაფის“ წარმოებისათვის განკუთვნილი ყურძენი მოწეული უნდა იყოს მხოლოდ წარაფის მიკროზონაში გაშენებული ვენახებიდან.

ყურძნის გადამუშავება და ღვინის დამზადება დასაშვებია მხოლოდ კახეთის ზონის ფარგლებში, ხოლო ჩამოსხმა – კახეთის ზონის ფარგლებს გარეთაც, მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე.

ამასთან, ყურძნის გატანა წარაფის მიკროზონიდან გადასამუშავებლად და ღვინის გატანა კახეთის მევენახეობის ზონიდან ჩამოსასხმელად დასაშვებია მხოლოდ მკაცრი აღრიცხვისა და კონტროლის პირობებში.

„წარაფის“ დამზადებისას ალკოჰოლური დუღილი მიმდინარეობს მხოლოდ ქვევრში დურდოზე (ჭაჭა-კლერტის მთლიან რაოდენობასთან ერთად). ალკოჰოლური დუღილის დამთავრების შემდეგ, ქვევრს გადაავსებენ ანალოგიური ღვინით და დააყოვნებენ დურდოზე არანაკლებ რთველის მომდევნო წლის 1 თებერვლისა.

„წარაფის“ სამომხმარებლო ბაზარზე განთავსება დასაშვებია მხოლოდ სამომხმარებლო ტარაში დაფასოებული სახით.

**10. კავშირი ღვინის განსაკუთრებულ ხარისხს, რეპუტაციასა და გეოგრაფიულ ადგილს შორის**

**ნიადაგი.** ნიადაგწარმომქმნელი ქანები დელუვიურ-პროლუვიური წარმოშობის კარბონატული თიხნარ-თიხიანი და ქვაღორღიანი ნაფენებია.

ნიადაგები, ძირითადად, თიხნარი და მსუბუქი თიხნარია. მისი მექანიკური შედგენილობა (ფიზიკური თიხის ფრაქცია, რომელიც <0,01 მმ) ფართო საზღვრებში ცვალებადობს და 20,0-დან 69,4%-მდეა.

ჰუმუსის შემცველობა საპლანტაჟო ფენებში 2,04-4,91%-ის ფარგლებშია. საერთო აზოტი, ძირითადად, დაბალი შემცველობით ხასიათდება – 0,067-0,128%, ჰიდროლიზური აზოტის შემცველობა სახნავ ფენებში 5,00-13,89 მგ-მდე მერყეობს 100 გ ნიადაგში, ხსნადი ფოსფორის შემცველობა მაღალია და სახნავ ფენებში 3,0-29,0 მგ-ის ფარგლებშია 100 გ ნიადაგში.

გაცვლითი კალიუმი სახნავ ფენებში მაღალი შემცველობით ხასიათდება 28,0-90,4 მგ 100 გ ნიადაგში. კალციუმის კარბონატების შემცველობა ნიადაგების პროფილებში ფართო საზღვრებში ცვალებადობს, რომელიც ზემოდან ქვემოთ კანონზომიერად მატულობს და 2,0-დან 44,0%-მდეა. ნიადაგის არეს რეაქცია სუსტი და საშუალო ტუტეა – pH=7,2-8,2.

**კლიმატი.** წარაფის მიკროზონა ხასიათდება ზომიერად ნოტიო კლიმატით, ცხელი ზაფხულითა და ზომიერად ცივი ზამთრით, მზის ნათების წლიური ხანგრძლივობა 2154 საათს, სავეგეტაციო პერიოდში კი 1589 საათს უდრის.

ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა $12,5^0C$, ყველაზე ცივი თვის /იანვარი/ საშუალო ტემპერატურა $1,0^0C$, ყველაზე თბილი თვეების /ივლისი, აგვისტო/ კი – $23,6^0C$ უდრის.

$10^0C$-ზე ზევით ტემპერატურის პერიოდის ხანგრძლივობა 211 დღეს აღწევს, ხოლო აქტიურ ტემპერატურათა ჯამი საშუალოდ 3920 უდრის.

ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამი წარაფის მიკროზონაში 770 მმ, მ.შ. სავეგეტაციო პერიოდში 585 მმ-ია. ატმოსფერული ნალექები სეზონების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: ყველაზე მეტი /32-32%/ გაზაფხულ-ზაფხულში, შედარებით ნაკლები შემოდგომაზე (23%) და ზამთარში /13%/ მოდის.

ჰაერის საშუალო წლიური შეფარდებითი სინოტივე 72% უდრის, ვაზის სავეგეტაციო პერიოდში ეს მაჩვენებელი 70% აღწევს.

ნიადაგის ზედაპირზე, რომელიც ნეშომპალა-კარბონატულია, საშუალო წლიური ტემპერატურა $15^0C$ უდრის. ივლის-აგვისტოში ნიადაგის ზედაპირის საშუალო ტემპერატურა ყველაზე მაღალია და $30^0C$ აღწევს.

**ადამიანური ფაქტორი.** საქართველოში ქვევრში კახური ტექნოლოგიით ღვინის დაყენება 8 ათასი წლის წინ დაიწყეს და ამ ტრადიციას უწყვეტად დღემდე ინარჩუნებენ. ქართველი კაცი რვა ათასი წლის განმავლობაში ხვეწდა და აუმჯობესებდა ამ ღვინის დაყენების მეთოდებს. ასე რომ, ღვინის დაყენების კახური ტექნოლოგიის მთავარი შემოქმედი ქართველი ხალხია, რომელმაც არა მარტო შექმნა ეს უნიკალური წესი, არამედ, ხატოვნად რომ ვთქვათ, უბით გამოატარა და გადაარჩინა იმ ქარტეხილებს, რაც ამ პატარა ქვეყანამ გამოიარა ამ ხნის მანძილზე.

ქვევრში ღვინის დაყენების ქართულ ტრადიციულ მეთოდს 2013 წელს იუნესკოს (UNESCO) არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა, რაც ამ მეთოდის უნიკალურობაზე მიუთითებს და გზავნილია მთელი მსოფლიოსთვის, რომ ღვინო უძველესი ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილია. ეს იყო ქვევრში ღვინის დაყენების ქართული ტრადიციული მეთოდის აღიარების გვირგვინი, რომელმაც ახალი სტიმული მისცა ჩვენში ღვინის ამ მეთოდით დაყენებას და დასაბამი მისცა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მის დანერგვას.

„ღვინის დაყენების მეთოდმა, რომელიც კახურ მეთოდად იწოდება და ბევრად განსხვავდება ევროპული ტექნოლოგიისაგან, კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ ეს ქვეყანა წარსულშიც იყო ცნობილი თავისი მაღალხარისხოვანი ღვინოებით და მომავალშიც რჩება ამ პროგრესული მიმართულების შემოქმედად“, ამბობს ცნობილი იტალიელი მეღვინე და მეცნიერი ჯ. დალმასო.

წარაფის მიკროზონის გეოგრაფიული მდებარეობა, დამახასიათებელი კლიმატი: ზომიერად ცივი ზამთარი და ცხელი ზაფხული, ატმოსფერული ნალექების ზომიერი რაოდენობა, აქტიურ ტემპერატურათა ჯამის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი, ტყის ყავისფერი, ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგების, ვაზის ჯიშების ამ მიკროზონაში გამოვლენილი განსაკუთრებული თვისებები და მევენახეობა-მეღვინეობის ადგილობრივი, მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია განაპირობებს ღვინო „წარაფის“ განსაკუთრებულ ორგანოლეპტიკურ მახასიათებლებს და მაღალ რეპუტაციას.

**11. ეტიკეტირების განსაკუთრებული მოთხოვნები**

დასახელება „წარაფი“ და აღნიშვნა „დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო“ ეტიკეტზე, შეფუთვაზე, ასევე, ღვინის თანმხლებ დოკუმენტებში და სარეკლამო მასალებში უცხო ენებზე დაიტანება შემდეგნაირად:

ლათინური შრიფტით – **TSARAPI**
Protected Designation of Origin ან/და PDO

რუსული შრიფტით – ЦАРАПИ
Защищенное наименование местопроисхождения

12. აღრიცხვა და შეტყობინება

„წარაფის" წარმოების და შენახვის ტექნოლოგიური პროცესების აღრიცხვა და შეტყობინება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

13. ძირითადი საკონტროლო წერტილები

დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო „წარაფის" წარმოების პროცესის გაკონტროლების დროს მწარმოებელმა სსიპ – ღვინის ეროვნულ სააგენტოს უნდა დაუდასტუროს შემდეგი პარამეტრების შესაბამისობა:

| ძირითადი საკონტროლო პუნქტები | შეფასების მეთოდები |
|---|---|
| ვენახის ადგილმდებარეობა | საკადასტრო რუკა, შემოწმება ადგილზე |
| ფართობი | ვენახის აღრიცხვის ჟურნალი, კადასტრი |
| ვაზის ჯიში | ვენახის აღრიცხვის ჟურნალი, შემოწმება ადგილზე |
| კულტივირების მეთოდები | აგროტექნიკურ ღონისძიებათა რეგისტრაციის ჟურნალი, წამლობის ჟურნალი. შემოწმება ადგილზე |
| მოსავლის აღება და ტრანსპორტირება | რთველის ჟურნალი |
| ყურძნის საჰექტრო მოსავალი | რთველის ჟურნალი |
| ყურძნის მთლიანი მოსავალი | რთველის ჟურნალი |
| ყურძნის გადამუშავება და ღვინის დამზადება | ყურძნის მიღების ჟურნალი, ყურძნის გადა-მუშავების ჟურნალი, პროდუქციის ბრუნვის აღრიცხვის ჟურნალი, ლაბორატორიული ანალიზების ჟურნალები, შეტყობინებები, შემოწმება ადგილზე |
| ღვინის ჩამოსხმის, შეფუთვის და შენახვის ადგილი და პირობები | ჩამოსხმის ჟურნალი, მზა ნაწარმის საწყობში პროდუქციის მოძრაობის ჟურნალი, ლაბორატორიული ანალიზების ჟურნალები |
| ღვინის ფიზიკო-ქიმიური მახასიათებლები ღვინის წარმოების პროცესში, ჩამოსხმამდე და ჩამოსხმის შემდეგ | ლაბორატორიული ანალიზების ჟურნალები |
| ღვინის ორგანოლეპტიკური მახასიათებლები | სადეგუსტაციო კომისიის ოქმები |
| მიკვლევადობა | ტექნოლოგიური და ლაბორატორიული ჩანაწერები |

14. წარმოების მაკონტროლებელი ორგანო

წარმოების სპეციფიკაციის დაცვასა და ადგილწარმოშობის დასახელების მართებულად გამოყენებაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.




## სანთელი

# თამაზ ქოქოსაძე



**საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი მწუხარებას გამოთქვამს კავშირის წევრის – გამოჩენილი ენერგეტიკოსის თამაზ ქოქოსაძის გარდაცვალების გამო.**

**თამაზ ქოქოსაძე დაიბადა 1928 წელს ქ.თბილისში.**

**1951წ. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ჰიდროტექნიკოს - მშენებლის კვალიფიკაციით.**

**1951-1953 წლებში იყო სიონჰესის წყალსაცავის მშენებლობის ოსტატი, ტექნიკური განყოფილების ინჟინერი, მგეგმავი, დამპროექტებელი. 1953-1958 წლებში იყო გუმათჰესის მშენებლობის სამუშაოთა მწარმოებელი, უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი, სამშენებლო უბნის უფროსი, კვანძის უფროსი.**

**1958-1960 წლებში იყო ლაჯანურჰესის მშენებლობის მთავარი ინჟინრის მოადგილე. 1960-1963 წლებში იყო საქართველოს კპ-ის ცკ-ის ინსტრუქტორი, 1963-1965 წლებში – ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის" მმართველი და ერთდროულად – ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს უფროსი, 1966-1973 წლებში კი ამიერკავკასიის №489 ხიდმშენის სამმართველოს უფროსი.**

**1973-1985 წლებში – თბილისის კიროვის რაიაღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, შემდეგ კი თავმჯდომარე იყო.**

**1985 წელს მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოს" გენერალური დირექტორის მოადგილედ.**

**საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი თამაზ ქოქოსაძე დაჯილდოებული იყო სამი ორდენით, მედლებითა და საპატიო სიგელებით.**

**ვუსამძიმრებთ ოჯახს, კოლეგებს და ახლობლებს!**

**საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი,**
**საქართველოს ენერგეტიკის მუშაკთა პროფკავშირი,**
**საქართველოს ენერგეტიკოსთა ასოციაცია,**
**შპს „ენგურჰესი"**

**საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება ამავე აკადემიის წევრის, ცნობილი კომპოზიტორისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს დამსახურებული არტისტის, ზნემაღალი კაცისა და ქვეყნის ღირსეული შვილის, პროფესორ**

# გომარ სიხარულიძის

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახსა და სანათესაოს. დაკრძალვა 30 I, 14 სთ. გამოსვენება ქაშუეთის ეკლესიიდან.**

# სანდრო გირგვლიანის მკვლელობით დაიწყო სააკაშვილის რეჟიმის რღვევა...



**შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნებმა „გაერთიანებული ქართული ბანკის" საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილების ხელმძღვანელი, 28 წლის სანდრო გირგვლიანი 2006 წლის 28 იანვარს მოკლეს. სტრასბურგის სასამართლომ საქმეზე „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ" განჩინება 2011 წლის 26 აპრილს გამოიტანა. სასამართლომ სიცოცხლის უფლების დარღვევა დაადგინა.**

სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმე ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული კრიმინალური საქმეა თანამედროვე საქართველოს ისტორიაში. მომხდარმა მკვლელობამ და მასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა საქართველოს მაშინდელი მთავრობის, განსაკუთრებით შინაგან საქმეთა მინისტრის, მწვავე კრიტიკა გამოიწვია. ამ მოვლენებმა საქართველოს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა და, ზოგადად, მთავრობის მიერ გატარებული დემოკრატიული რეფორმების სიმტკიცე ეჭვქვეშ დააყენა.

გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე კუდის ოთხი თანამშრომელი დააკავეს. 2006 წლის 6 მარტს ამ საქმესთან დაკავშირებით, რომლებიც დამნაშავედ იქნენ ცნობილი გირგვლიანისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთასა და მისთვის ჯანმრთელობის დაზიანებაში, რამაც სასიკვდილო შედეგი გამოიწვია; ოთხივე პირს პატიმრობა შეეფარდათ, თუმცა მათ საპატიმრო ვადა მოგვიანებით პრეზიდენტის შეწყალების შედეგად გაუნახევრდათ და ამას გარდა, მათ მიმართ პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმი გამოიყენეს, რის შედეგადაც 2009 წლის სექტემბერში ოთხივე ოფიცერი პატიმრობიდან გათავისუფლდა. მსჯავრდებულებმა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში სულ დაჰყვეს 3 წელი და 6 თვე.

ასევე, გირგვლიანის საქმეზე სასამართლომ მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი დამნაშავედ ცნო სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისთვის და მას 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

2018 წლის 5 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გიორგი არევაძემ სანდრო გირგვლიანის საქმეზე საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დამნაშავედ ცნო და 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

გამოძიების თანახმად, მიხეილ სააკაშვილმა კუდ-ის იმჟამინდელ ხელმძღვანელს დათა ახალაიას სანდრო გირგვლიანის მკვლელობისთვის მსჯავრდებულების შეწყალების უკანონო დაპირება მისცა და შემდეგ უკვე შეწყალების კომისიის გვერდის ავლით გერონტი ალანია, მიხეილ ბიბილურიძე, ავთანდილ აფციაური და ალექსანდრე ღაჭავა შეიწყალა, რითაც შექმნა სამართლებრივი ბერკეტი მსჯავრდებულების პირობით ვადამდე გათავისუფლებისთვის.

ამასთან, სასამართლოს გადაწყვეტილებით, მიხეილ სააკაშვილს ერთი წლითა და ხუთი თვის ვადით თანამდებობის დაკავების უფლებაც ჩამოერთვა.

## ◉ გუშინდელი ფოსტიდან

# „საუცხოო“ საკითხავი

რა მოგვივიდა, რა ხიბლი აქვთ სხვებს იმნაირი,
რომ დაგვიმკვიდრეს „დავით ულუ“, „დავით ნარინი“?
რა მოგვივიდა, დედაენას რომ ვუღალატეთ,
მეფეებს ვარქმევთ „სებისტოსებს“, „კურაპალატებს“?
რა მოგვივიდა, რომ ვაქციეთ „ერი“ „ნაციად“
და ეს რომ არ ვთქვათ, დაუნდობლად თავს წაგვაცლიან!
რატომ შევბედეთ, რა ლოგიკით და რა მორალით,
სიტყვა „უწყვეტს“ რომ ვივიწყებთ და ვამბობთ: „ოლაინს“?
დაჭრილ ქვეყანას მწვავე ტკივილს ვერვინ დაუცხრობს,
ვიდრე გვგონია, საუცხოო რომ არის უცხო!

**ალექსანდრე შენგელია**

# ხუმარსიტყვა



### ამერიკული ხედვა

— ნამდვილი დასავლელია, ამერიკული ხედვა აქვს, — უთხრა მეზობელმა კოჩიას მთავრობის ერთ-ერთ წევრზე.

— მერე, რა გიკვირს, შე კაცო, თვალებში ამერიკული ბროლი აქვს ჩადგმული და, აბა, რა იქნება! — უპასუხა კოჩიამ.

### ორიენტაცია

— ახალგაზრდების მიმართ ნამეტანი ლიბერალურები გავხდით, — ეუბნება ხანშიშესული პროფესორი უმცროს კოლეგას.

— უღრმესი პატივისცემის მიუხედავად, ვერ დაგეთანხმებით, ბატონო პროფესორო! დღეს ჩვენი მიზანია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება, — მორიდებით უპასუხა მან.

— სწავლაზე ორიენტირებული სტუდენტები თუ გვეყოლებიან ოდესმე? — სხვათა შორის იკითხა კოჩიამ, რომელიც მეზობლების საუბარს ყურს უგდებდა.

### დასავლური პროგრამები

— ჩვენი სასწავლო მიმართულებები დასავლურ პროგრამებსა და ღირებულებებს შეესაბამება, სტუდენტების უმრავლესობამ კი დღემდე ვერ აუღო ალღო, — გულისტკივილით უთხრა კოჩიას ნაცნობმა პროფესორმა.

— არ იდარდოთ, ბატონო! დასავლური პროგრამები მერსედესივითაა, ჩვენი ოღროჩოღროებისთვის არ არის გათვალისწინებული, — დაამშვიდა კოჩიამ.

**ვაჟა დანელია**

# მფარველმა ანგელოზმა დაიცვა

**ნიუ-იორკში ხანდაზმული ქალი მე-7 სართულიდან გადავარდა და გადარჩა.**

შემთხვევა 24 იანვარს მოხდა. 76 წლის ბარბარა ჰელერი, რომელმაც ზურგზე ოპერაცია გადაიტანა და გადაადგილება უჭირდა, სახლში მეგობართან ერთად იყო. მან სუფთა ჰაერის ჩასუნთქვა გადაწყვიტა, ფანჯარასთან მივიდა და მოულოდნელად გადავარდა.

ადგილობრივი პოლიციის ცნობით, ამერიკელი ხილით სავსე ყუთებს დაეცა, რამაც ის გადაარჩინა. ქალი საავადამყოფოში გადაიყვანეს, მას მენჯის ძვალი და ნეკნები და ასევე ფილტვები დაუზიანდა.





# ბოლო-ბოლო, მამობა აღიარა

**ბელგიის მეფე ალბერტ II-მ დნმ-ის ანალიზის პასუხის შემდეგ დელფინა ბოელის ბიოლოგიური მამობა აღიარა.**

დელფინა ბოელმა დედისგან ბარონესა სიბილ დე სელისგან 18 წლისამ შეიტყო, რომ ის ალბერტ II-ს უკანონო შვილი იყო.

ჯერ კიდევ პრინც ალბერტს ბარონესასთან 16-წლიანი რომანი ჰქონდა. თუმცა, როცა მეფე გახდა, მან დელფინა ბოელი შვილად არ აღიარა. მის იურიდიულ მამად ბარონესას ყოფილი ქმარი ჟაკ ბოელია მიჩნეული, მაგრამ ბარონესასთან განშორების შემდეგ, მან დელფინა საკუთარი ანდერძიდან ამოიღო.

შვილად აღიარების მოთხოვნით, ალბერტ II-ს წინააღმდეგ სასამართლოს დელფინა ბოელმა 2013 წელს მიმართა. პროცესის მოგების შემდეგ, შესაძლოა, ბოელმა მემკვიდრეობის ნაწილი მიიღოს.

# რომში ტრევის შადრევანთან დამცავ ღობეს დადგამენ

**ქალაქის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, რომში უდიდეს ტრევის შადრევანთან დამცავ ღობეს დადგამენ. ამის შესახებ რომის მერი ვირჯინია რაჯიმ განაცხადა.**

ხელისუფლება ამ ფორმით შადრევანს ვანდალებისა და ხულიგნებისგან დაიცავს. ღობე რომში სხვა შადრევნებთან დადგმული დამცავი ბარიერებისგან განსხვავებული იქნება.



**„ამ გადაწყვეტილებით, ტრევის შადრევნის ხედი არ დაიფარება. ტურისტები შადრევანში მონეტების ჩაყრას ისევ შეძლებენ, რადგან ეს ჩვენი ქალაქის რიტუალია,“** — აცხადებს ქალაქის მერი.

2019 წლის სექტემბერში რომში ტრევის ცნობილი შადრევნის განათების სისტემა განახლდა. რომის უდიდესი შადრევნის სიმაღლე 25,9 მეტრია, ხოლო სიგრძე 19,8 მეტრი. ბაროკოს სტილის შადრევანი 1732-1762 წლებში ააგო არქიტექტორმა ნიკოლო სალვიმ.

# წყალდიდობა ბრაზილიაში



**ძლიერი წვიმისგან გამოწვეული წყალდიდობის გამო, საცხოვრებელი 25 000-ზე მეტმა ადამიანმა დატოვა. სტიქიამ განსაკუთრებით მინას ჟერაისის შტატი დააზარალა, სადაც ბოლო 110 წლის განმავლობაში ყველაზე დიდი რაოდენობის ნალექი მოვიდა. მაშველები ამ დრომდე ეძებენ 25 ადამიანს. მინას ჟერაისის შტატში 37 ადამიანი დაიღუპა, 17 ათასზე მეტმა საცხოვრებელი დატოვა.**

რთული ვითარებაა სანაპირო შტატ ესპირიტო სანტოშიც, სადაც წყალდიდობას ცხრა ადამიანი ემსხვერპლა, 8 ათასზე მეტი კი სტიქიის ზონიდან გაიყვანეს.


## მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001



ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!


სრ

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.8944; ევრო - 3.1914;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7893;
100 რუბლი - 4.6313; თურქული ლირა - 0.4867;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7045;
1000 სომხური დრამი - 6.0464.

**ამინდი 29 იანვრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | -2, | დღე | +15 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -6, | დღე | +11 |
| დასავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | +4, | დღე | +14 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -3, | დღე | +10 |
| თბილისი: | ღამე | 0, | დღე | +12 |


**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge